



**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის  
სასწავლო უნივერსიტეტი**

სისხლის სამართლის ფაკულტეტი  
სამართლის სამაგისტრო პროგრამა

**თემა: დაზარალებული თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესში**

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი:

ვახტანგ წიკლაური

ნაშრომის ხელმძღვანელი:

პროფესორი

ვენედი ბენიძე

თბილისი

2021

## შინაარსი

ანოტაცია -----	3
<b>Annotation</b> -----	4
შესავალი -----	5
თავი I. ლიტერატურის მოკლე მომიხილვა -----	7
თავი II. დაზარალებული როლი სისხლის სამართლის პროცესში-----	8
2.1. დაზარალებულის უფლებების ისტორიული განვითარება-----	10
თავი III. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები-----	15
3.1. პირის დაზარალებულად ცნობა-----	15
3.2. საქმის მასალებისგაცნობისა და სისხლის სამართალწარმოების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება-----	23
3.3. პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმი-----	26
3.4. მტკიცებულებების წარდგენის უფლება 1998 წლის სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით-----	29
თავი IV. დაზარალებულის უფლებები პროკურორის მიერ სისხლისამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში-----	32
თავი V. საერთაშორისო გამოცდილება დაზარალებულთან მიმართებით-----	38
5.1 დაზარალებულის უფლებები საზღვარგარეთის ქვეყნების მიხედვით -----	42
5.2 საფრანგეთის სამართლის და გერმანული სამართლის მიხედვით-----	44

5.3. დაზარალებულის უფლებები აშშ-ის სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით---	
46	
თავი VI. კვლევის შედეგები-----	
53	
დასკვნა -----	54
გამოყენებული ლიტერატურა -----	56

## ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში საუბარია დაზარალებულის ინსტიტუტზე, სისხლის სამართლის პროცესში, მის უფლებებზე, დაცვის გარანტიებზე და ა.შ როგორც ეროვნული ასევე უცხოური კანონმდებლობის მიხედვით. ყურადღება გამახვილებულია ისეთ პრობლემებზე, როგორცაა პირის დაზარალებულის ცნობა მასთან დაკავშირებული საკითხები.

სანამ ვრცელ მიმოხილვაზე გადავალთ, მოკლედ გადავხედოთ, დასავლეთის ქვეყნების პრაქტიკას რომელთა გარკვეული ნაწილი სამართლებრივ პრივილეგიებს ანიჭებს დაზარალებულს მაგალითად საფრანგეთი დაზარალებულს მოიაზრებს, როგორც მხარეს და ამ სტატუსით მას შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს პროცესის მიმდინარეობაზე ამასთან აქტიურად იყოს ჩართული პირის ბრალეულობის საკითხის საბოლოო გადაწყვეტაში, ამ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, თუ პროკურორი უარს იტყვის სისხლისამართლებრივ დევნაზე დაზარალებულს უფლება აქვს არ დაეთანხმოს და თვითონ გამოვიდეს სასამართლოში ბრალმდებლის როლში.

დაზარალებულს ქართული კანონმდებლობის მიხედვით შედარებით მცირე უფლებები გააჩნია რის გამოც სწორედ აღნიშნული საკითხი წარმოადგენს ჩვენი კვლევის საგანს.

ნაშრომი მოიცავს ანოტაციას, სარჩევს, შესავალს, ძირითად თემას (რომელიც დაყოფილია თავებად და ქვეთავებად), დასკვნას და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს.

პირველი თავში განხილულია გამოყენებული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა, მეორე თავი ეხება დაზარალებულს სისხლის სამართლის პროცესში და მასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზს. დასკვნაში შეჯამებულია მოცემული თემა და შემოთავაზებულია რეკომენდაციები კანონში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

## **Annotation**

This paper deals with the institution of the victim, according to the Criminal Procedure Code, his rights, guarantees of protection, the rights of the victim under both national and foreign law. The focus is on issues such as informing the victim about issues related to him or her.

Before moving on to the overview, a brief overview shows that some Western countries grant certain legal privileges to the victim, for example, France is seen as a party and with this status it can have a significant impact on the process and be quite actively involved. The victim of a criminal prosecution has the right to disagree and to appear in court himself.

The victim has relatively few rights under Georgian law, and these issues will be discussed in the chapters below.

The paper includes an annotation, table of contents, introduction, main topic (divided into chapters and subsections), conclusion and a list of used literature.

The first chapter provides a brief overview of the literature used, the second chapter deals with the victim in the criminal process and the analysis of related problems. The report summarizes this topic and offers recommendations to address the gap in the law.

## შესავალი

2010 წლის 1 ოქტომბერს საქართველოში ამოქმედდა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელმაც მთლიანად შეცვალა სამართალწარმოების სისტემა. აღნიშნული რეფორმის ფარგლებში, ინკვიზიციური პროცესის ნაცვლად, მხარეთა შეჯიბრებითობაზე დაფუძნებული სისხლის სამართლის სისტემა დამკვიდრდა. სისხლის სამართლის ახალმა საპროცესო კოდექსმა მრავალი პროგრესული სიახლე გაითვალისწინა. საქართველომ აირჩია შეჯიბრებით პროცედურებზე დაფუძნებული საერთო სამართლის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი მოდელი, რომელიც მიზნად ისახავს დაცვის მხარის პოზიციების განმტკიცებასა და ბრალდებულისათვის მეტი გარანტიების უზრუნველყოფას. რეფორმა შეეხო დაზარალებულის უფლებებსაც. თუმცა, დაზარალებულის აღნიშნული მდგომარეობა არ შეესაბამება სისხლის სამართლის თანამედროვე პოლიტიკასა და საერთაშორისო მიდგომებს. დაზარალებულის, როგორც პროცესის მონაწილის როლი არსებითად შეიცვალა და მნიშვნელოვნად შემცირდა მისი ინტერესების დაცვის საკანონმდებლო გარანტიები.

**თემის აქტუალობა :** დღესდღეობით დაზარალებულის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები მეტად აქტუალური თემა გახლავთ და შეიძლება ითქვას პრობლემურიც, რომელიც დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაში გამოიხატება , სისხლის სამართლის ახალმა საპროცესო კოდექსმა გამოიწვია დაზარალებულისათვის მთელი რიგი უფლებების შეზღუდვა და მისი უფლებრივი მდგომარეობის შეცვლა პროცესის მონაწილის სტატუსით. თუკი დაზარალებული მრავალი წლის განმავლობაში გვევლინებოდა სისხლის სამართლის პროცესის აქტიურ მხარედ, რომელსაც ფართო უფლებამოსილება გააჩნდა, დღეს არსებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, მისი უფლებამოსილებები მინიმუმამდეა დაყვანილი. სწორედ ამიტომ დავისახეთ შემდეგი მიზნები.

### **დასახული მიზნები:**

- გავაანალიზოთ ქართული და უცხოური კანონმდებლობა
- პრაქტიკასა და კანონმდებლობის გათვალისწინებით ჩამოვაცალიზოთ რეკომენდაციები
- საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით გავაანალიზოთ რამდენადაა დაცული დაზარალებულის უფლებები საქართველოში და საზღვარგარეთ
- შემოგთავაზოთ რეკომენდაციები კანონში არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად

**ამოცანები:** აღნიშნული მიზნების მისაღწევად ჩვენ დავისახეთ შემდეგი ამოცანების გადაჭრა.

1. მიმოვიხილოთ ქართული და უცხოური კანონმდებლობა და ლიტერატურა, რათა მივაკვლიოთ ხარვეზებს
2. ჩავატარო კვლევა სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით
3. გავავლოთ პარალელი უცხოურ კანონმდებლობასთან
4. შევაჯამოთ სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემი

**კვლევის მეთოდები** ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი კვლევის მეთოდები, ამ კვლევის პროცესში გამოვიყენე შემდეგი მეთოდები : ისტორიული კვლევის მეთოდი, ვინაიდან გაგვეანალიზებინა დაზარალებულის ინსტიტუტმა რა გზა გაიარა, იმისთვის, რომ დღევანდელი სახე მიეღო, რა შეიცვალა კანონმდებლობაში. შედარებითი მეთოდი გამოვიყენეთ, რათა შეგვედარებინა სხვადასხვა ავტორების შეხედულებები, ასევე შეგვედარებინა თუ როგორ არის მოწესრიგებული ქართული და საზღვარგარეთის ქვეყნებში დაზარალებულის ჩართულობა სისხლის სამართლის პროცესში. სტატისტიკური კვლევის მეთოდი მეტი თვალსაჩინოებისთვის.

## თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დაზარალებულის ინსტიტუტს და ერთ-ერთ აქტუალურ და იმავდროულად პრობლემურ თემას წარმოადგენს, სწერედ იმიტომ რომ, დღეს მოქმედი კანონმდებლობით მისი უფლებები საკმაოდ შეზღუდულია, ვიდრე ეს იყო 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული, კერძოდ დაზარალებულის უფლებრივი შეზღუდვა გამოიწვია საკანონმდებლო ცვლილებამ, რაც მოიცავდა ინკვიზიციურობიდან შეჯიბრობით სისტემაზე გადასვლას. აქედან გამომდინარე დაზარალებული სისხლის სამართლის პროცესში გვევლინება როგორც პროცესის ერთერთი მონაწილე, რომელსაც ენიჭება მოწმის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა, შესაბამისად დაზარალებული გათანაბრებულია მოწმესთან. მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ ერთ-ერთ პრობლემურ საკითხზე პირის დაზარალებულად ცნობის პროცედურაზე. აღნიშნულ თემაზე მუშაობისას გამოვიყენე 2015 წლის ავტორთა კოლექტივის მიერ გამოცემული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, სადაც დეტალურად არის აღწერილი დაზარალებულის ინსტიტუტი და მისი უფლებები. აღნიშნული ლიტერატურიდან ყურადღება გავამახვილე პრობლემაზე, რომელიც შეეხებოდა პირის დაზარალებულად ცნობის საკითხს, ასევე გამოვიყენე ხატია თანდილაშვილის სადისერტაციო ნაშრომი, „სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებები ევროპული და ქართული კანონმდებლობის მიხედვით“, რომელშიც მოცემულია თუ როგორ არის მოწესრიგებული დაზარალებულის უფლებები და ზოგადად დაზარალებულის ინსტიტუტი ევროპის ქვეყნების, კერძოდ საფრანგეთის და გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, დაზარალებულის უფლებებთან დაკავშირებით გამოვიყენე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კვლევა, დაზარალებულის უფლებების შესახებ სისხლის სამართლის პროცესში, სადაც არის პრობლემა დაყენებული დაზარალებულის უფლებებთან დაკავშირებით.

დაზარალებულის უფლებების ისტორიული განვითარების საკითხზე გამოვიყენე სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილი მეორე გამოცემა რ.გოგშელიძის რედაქტორობით, სადაც აღწერილია თუ რა უფლებები გააჩნდა დაზარალებულს კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანამდე . ასევე ამ საკითხს ეხება ზ. მეიშვილი, ო.

ჯორბენამ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები და საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი ჯ.გახოკიძის, მ. მამნიაშვილისა და ი. გაბისონიას რედაქტორობით. ნაშრომში ფართოდ იქნა გამოყენებული ასევე სხვა ქართული და უცხო ქვეყნის ნაშრომები და სამეცნიერო პუბლიკაციები.

## თავი II დაზარალებული როლი სისხლის სამართლის პროცესში

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 22-ე ნაწილის თნახმად სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულად გვევლინება სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად. ხოლო რაც შეეხება დანაშაულის მომზადების ან მცდელობის დროს, დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც შეიძლება მისდგომოდა ზიანი.<sup>1</sup>

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის რეზოლუციის შესაბამისად, „მსხვერპლი/დაზარალებული“ ნიშნავს პირს/პირებს, რომელსაც ინდივიდუალურად ან კოლექტიურად მიადგა ზიანი, მათ შორის, ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანი, ემოციური ტანჯვა ან ეკონომიკური ზარალი. აგრეთვე, დანაშაულის მსხვერპლებად მოიაზრებიან ის პირები, რომელთა მიმართაც ადგილი ჰქონდა ფუნდამენტური უფლებების არსებით დარღვევას, რაც დაკავშირებულია წევრი სახელმწიფოების სისხლის სამართლის კანონმდებლობით ინკრიმინირებულ ქმედებასთან, მოქმედებასთან ან უმოქმედობასთან. რეზოლუციის მიზნებისთვის, პირი ჩაითვლება დანაშაულის მსხვერპლად/დაზარალებულად, მიუხედავად იმისა, დადგენილია თუ არა დამნაშავეს ვინაობა, დაპატიმრებული, წარდგენილი და გასამართლებულია თუ არა იგი სასამართლოს მიერ, აგრეთვე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ოჯახური ურთიერთობები დაზარალებულსა და დამნაშავეს შორის. ტერმინი „მსხვერპლი“ აგრეთვე მოიცავს დაზარალებულის ახლო ნათესავებს ან/და დაზარალებულის კმაყოფაზე მყოფ პირებს.<sup>2</sup>

სისხლის სამართლის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის მსხვერპლის სისხლის საპროცესოსამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრისა და მისთვის სისხლის სამართლის პროცესში შესაბამისი უფლებამოსილებთა მინიჭების სამართლებრივ-

<sup>1</sup> სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-4 ნაწილი

<sup>2</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2016, გვ. 23

პოლიტიკური საკითხს. ამის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს აგრეთვე ვიქტიმოლოგიის მნიშვნელობის მსოფლიო მასშტაბებით ზრდა. მრავალრიცხოვანმა ვიქტიმოლოგიურმა და კრმინოლოგიურმა კვლევებმა, რომლებიც დანაშაულის მსხვერპლის დაცვისა და სისხლის სამართლის პროცესში მისი მოთხოვნების გათვალისწინების აუცილებლობაზე მიუთითებენ, განაპირობებს დაზარალებულის სისხლის სამართლის მეცნიერების ყურადღების ცენტრში მოქცევა. არაერთმა გამოჩენილმა მეცნიერმა მიუძღვნა თავისი კვლევა დაზარალებულის სამართლებრივ მდგომარეობას. იურიდიულ ლიტერატურაში არაერთგზის გამოითქვა მოსაზრება, რომ დაზარალებულს სისხლის სამართლის პროცესში ფართო უფლებამოსილება უნდა გააჩნდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მას მოწმისაგან განსხვავებით სისხლის სამართლის პროცესში პრივილეგირებული მდგომარეობა უნდა ეკავოს.<sup>3</sup> უნდა აღინიშნოს, არა მხოლოდ ვიქტიმოლოგიური კვლევის შედეგები, არამედ საქართველოს კონსტიტუციაც იძლევა დანაშაულის მსხვერპლის სისხლის სამართლის პროცესში ლეგიტიმაციისა და მისი ინტერესების გათვალისწინების საფუძველს. საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული პიროვნების ძირითადი უფლებების სათანადო ანალიზის შედეგად შესაძლებელია აღნიშნულთან დაკავშირებით კონკრეტული დასკვნების გაკეთება. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი ადამიანის ღირსებას ხელშეუვლად აცხადებს.<sup>4</sup>

ვინაიდან, კონსტიტუცია სახელმწიფოს ნებისმიერი პიროვნების ღირსების პატივისცემას ავალდებულებს, სისხლის სამართლის პროცესში დაცული უნდა იქნეს არა მარტო ბრალდებულის, არამედ მასში მონაწილე თითოეული ინდივიდის და განსაკუთრებით კი დაზარალებულის ღირსება. დაზარალებულის მოწმის სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე, მაღალია სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მისი ღირსების ხელყოფის ალბათობა.<sup>5</sup>

საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით გარანტირებული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება ადამიანის ღირსების ხელშეუვალობასთან ერთად უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციის დებულებას წარმოადგენს, რომელიც ამავდროულად დაზარალებულს პროცესუალური მდგომარეობის განსაზღვრის ერთ-ერთი ძირითადი კონსტიტუციურსამართლებრივი საფუძველია. აღნიშნული უფლება უნდა გავიგოთ, როგორც ადამიანის ღირსების უფლების კონკრეტიზაცია, რადგან ადამიანის ღირსების დაცვის პრინციპი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების აღიარებას მოითხოვს.<sup>6</sup>

<sup>3</sup> <https://mimomxilveli.wordpress.com> უკანასკნელად გადამოწმებული იქნა .10.05.2021

<sup>4</sup> საქართველოს კონსტიტუცია 1995 წ.

<sup>5</sup> <https://mimomxilveli.wordpress.com> უკანასკნელად გადამოწმებული იქნა.10.05.2021

<sup>6</sup> <https://mimomxilveli.wordpress.com> უკანასკნელად გადამოწმებული იქნა.10.05.2021

## 2.1. დაზარალებულის უფლებების ისტორიული განვითარება

საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც კონტინენტური სამართლის პრინციპებს განამტკიცებდა, საჯარო სისხლისსამართლებრივ დევნასთან ერთად სუბსიდიურ, კერძო-საჯარო და კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოებასაც ითვალისწინებდა.<sup>7</sup> სისხლის სამართლის პროცესის ამოცანა, პროცესის სხვა მონაწილეებთან ერთად, იყო დაზარალებულის ინტერესებისა და უფლებების დაცვა.<sup>8</sup> სისხლის სამართლის პროცესის განმახორციელებელი ორგანო შეზღუდული და, გარკვეულწილად, დამოკიდებული იყო დაზარალებულის ქმედებებსა და შეხედულებებზე. კერძოდ, დაზარალებული იყო მხარე და იცავდა ბრალდების პოზიციას. დაზარალებულის უფლებები იმდენად ფართო სპექტრის იყო, რომ შეეძლო, სუბსიდიური ბრალმდებელიც კი ყოფილიყო. იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართალწარმოების განხორციელების პროცესში პროკურორი უარს იტყოდა ბრალდებაზე, მაგრამ დაზარალებული არ დაეთანხმებოდა, საქმე არ წყდებოდა და სისხლის სამართლის საქმეზე ბრალმდებლის როლში დაზარალებული გამოდიოდა. გარდა ამისა, კერძო ბრალდების საქმეებზე. სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ხდებოდა მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით და, როგორც წესი, წყდებოდა ბრალდებულთან მისი შერიგების შემთხვევაში. ამასთან, შერიგება დასაშვებია იყო მხოლოდ მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე, როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში. შერიგებისას მხარეები უნდა შეთანხმებულიყვნენ სასამართლო ხარჯების ანაზღაურებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხარჯებს სასამართლო ანაწილებდა. მიუხედავად იმისა, რომ კერძო ბრალდების საქმეებზე ერთმანეთს კერძო პირები უპირისპირდებოდნენ, შესაძლებელი იყო, პროკურორს მიეღო მონაწილეობა აღნიშნული საქმის განხილვაში საჯარო პირის სახით სასამართლო გამოძიების სტადიამდე. აღნიშნული შესაძლებლობა სამ შემთხვევაში არსებობდა: თუ ამას მხარეები

<sup>7</sup> სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, თბ., 2009, გვ. 46.

<sup>8</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998 წლის მდგომარეობით,

მოითხოვდნენ წერილობითი ფორმით, თუ დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი წერილობითი სახით მოითხოვდა საქმეში პროკურორის ჩართვას და თუ საქმეს ჰქონდა განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა.<sup>9</sup> აღსანიშნავია, რომ კერძო ბრალდებაში მონაწილეობა წარმოადგენდა პროკურორის უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ პროკურორი კერძო ბრალდების პროცესში ჩაერთვებოდა საქმის განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის გამო, მიუხედავად მხარეთა შერიგებისა, კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა არ წყდებოდა და პროკურორი ახორციელებდა სახელმწიფო ბრალდებას. გარდა აღნიშნული უფლებებისა, ყველა სახის სისხლისსამართლებრივი დევნის პირობებში, დაზარალებულს შეეძლო: წარედგინა მტკიცებულებები, გაესაჩივრებინა განაჩენი სააპელაციო და საკასაციო წესით, განეცხადებინა აცილება მონაწილეობა მიეღო თავისი შუამდგომლობით ჩატარებულ საგამომიებო მოქმედებებში.<sup>10</sup>

საგულისხმოა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა სამოქალაქო სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში. იმ შემთხვევაში, თუ პირი დაზარალებულად ცნობის შემდეგ წარადგენდა სამოქალაქო სარჩელს, პროცესის მწარმოებელ ორგანოს (თანამდებობის პირს) გამოჰქონდა დადგენილება (განჩინება) დაზარალებულის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ, ხოლო თუ პირი დაზარალებულად ცნობამდე წარადგენდა სამოქალაქო სარჩელს, მაშინ პროცესის მწარმოებელი ორგანო (თანამდებობის პირი) უფლებამოსილი იყო: მიეღო ერთი დადგენილება (განჩინება), სადაც პირს ერთდროულად მიანიჭებდა როგორც დაზარალებულის, ისე სამოქალაქო მოსარჩელის სტატუსს, ან გამოეტანა ცალ-ცალკე დადგენილებები (განჩინებები) პირის დაზარალებულად და სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ.<sup>11</sup>

1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ დადგენილება გამოჰქონდა პროკურორს ან გამომძიებელს. აღსანიშნავია, რომ დაზარალებულად ცნობის უფლება ჰქონდა პირველი ინსტანციის მოსამართლესაც სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, მაგრამ სასამართლო კამათის დაწყებამდე. საგულისხმოა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა იცნობდა დაზარალებულის წარმომადგენლის ინსტიტუტსაც. გათვალისწინებული იყო დაზარალებულის ინტერესების დაცვა წინასწარი გამომძიების დროს და სასამართლოში

<sup>9</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998 წლის მდგომარეობით, მუხლი 27, მე-4 ნაწილი

<sup>10</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998 წლის მდგომარეობით, მუხლი 69.

<sup>11</sup> ზ. მეიშვილი., ო. ჯორბენაძე., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბ., 2007, გვ.184.

ადვოკატის მონაწილეობით. იმავდროულად, კანონმდებლობა არ ზღუდავდა დაზარალებულს, რომ შეერჩია რამდენიმე ადვოკატი. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენდა ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობას იმ შემთხვევაში, როდესაც: დაზარალებული იყო არასრულწლოვანი, ქმედუვნარო ან შეზღუდულქმედუნიანი; დაზარალებულს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეეძლო საკუთარი ინტერესების დაცვა; ასევე, ადამიანით ვაჭრობის ან არასრულწლოვნით ვაჭრობის დანაშაულის გამო, პირის დაზარალებულად ცნობის შემთხვევაში. დაზარალებულის ინტერესების დაცვის უფლება ჰქონდა მის კანონიერ წარმომადგენელსაც.<sup>12</sup>

2010 წლის 1 ოქტომბერს ამოქმედდა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელმაც მთლიანად შეუცვალა კურსი სისხლის სამართლის პროცესის წარმოებას. ცვლილებებმა გამოიწვია დაზარალებულისთვის მთელი რიგი უფლებების ჩამორთმევა. მოქმედი კანონმდებლობა დაზარალებულის სამართლებრივ მდგომარეობას არსებითად სხვაგვარად უდგება. იგი აღარ მოიაზრება მხარედ და, ძირითადად, მოწმის უფლება-მოვალეობებს იზიარებს. სსსკ-ის მე-3 მუხლის 22-ე ნაწილის მიხედვით, დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა ან შეიძლება მისდგომოდა უშუალოდ დანაშაულის შედეგად. შესაბამისად, ზიანი მნიშვნელოვანი ელემენტია პირის დაზარალებულად ცნობისათვის, მაგრამ არა - ერთადერთი, ვინაიდან კანონმდებელი უშვებს პირის დაზარალებულად ცნობას ზიანის მიყენების საფრთხის არსებობის შემთხვევაშიც. თუმცა, მიუხედავად ამისა, საპროცესო-სამართლებრივი მნიშვნელობით, პირი დაზარალებულის უფლება-მოვალეობებს იძენს მხოლოდ პროკურორის მიერ დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ. დაზარალებულის სტატუსის მინიჭებისათვის არ არის აუცილებელი, რომ დანაშაულის ჩადენის ფაქტი დადგენილი და დადასტურებული იყოს, ვინაიდან მხოლოდ სასამართლოა უფლებამოსილი, დაადგინოს დანაშაულის ჩადენა, გამოძიება კი, მიმდინარეობს დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვების მიზნით. შესაბამისად, პირის დაზარალებულად ცნობისათვის აუცილებელია მატერიალური და ფორმალური საფუძვლების ერთობლივად არსებობა. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ფონზე, დაზარალებული განიხილება როგორც ბრალდების მოწმე და, დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მისი გამოძახება სასამართლო პროცესზე დამოკიდებულია პროკურორის

<sup>12</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2016, გვ.7

გადაწყვეტილებაზე.<sup>13</sup> მისი პროცესუალური როლი, ძირითადად, მოწმის ფუნქციით შემოიფარგლება. თუმცა, მოწმისგან განსხვავებით, დაზარალებულს მიენიჭა ინფორმაციის მიღების უფლება საპროცესო მოქმედებების ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ. აღნიშნულ ინფორმაციას დაზარალებულს ატყობინებს პროკურორი მისი მოთხოვნის შემთხვევაში. ინფორმაციის მიღების უფლებაში იგულისხმება დაზარალებულის შესაძლებლობა, იყოს ინფორმირებული გამოძიებისა და სასამართლო წარმოების მიმდინარეობისა და მისი შედეგების შესახებ. ინფორმაცია, ერთი მხრივ, მოიცავს ტექნიკურ საკითხებს, ხოლო მეორე მხრივ, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ამსახველ ცნობებს. მას შემდეგ, რაც პროკურორი თავისი დადგენილებით დანაშაულის მსხვერპლს დაზარალებულად ცნობს, ამ უკანასკნელს უფლება აქვს: იცოდეს ბრალდებულისათვის წარდგენილი ბრალდების არსი; მიიღოს სისხლისსამართლებრივი დევნის ან გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების), განაჩენის და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ასლი; მიიღოს განმარტება თავისი უფლებამოვალეობების გარდა ზემოთ ხსენებული უფლებებისა, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედებით განისაზღვრა დაზარალებულის უფლება, მიიღოს გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების/განჩინების, განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ასლები. ასევე, მას უფლება აქვს, სამოქალაქო წესით წარადგინოს სარჩელი დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ. ვინაიდან სისხლის სამართალწარმოების დროს, შეიძლება, დაზარალებულმა განიცადოს მეორადი ვიქტიმიზაცია და, ამის გამო, მიადგეს ზიანი, კანონმდებელმა, როგორც მისი, ისე მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან საკუთრების დასაცავად, შექმნა ცალკეული დამცავი მექანიზმები. ასეთ საშუალებას წარმოადგენს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება, რომელიც შეიძლება იყოს: მიკვლევის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, ვინაობის შეცვლა და ახალი დოკუმენტების გაცემა, უსაფრთხოების ზომების მიღება, საცხოვრებელი ადგილის დროებით ან სამუდამოდ შეცვლა და სხვა სახელმწიფოში გადაყვანა. გარდა ამისა, დაზარალებულს, სხვა უფლებებთან ერთად, აქვს შესაძლებლობა, მიიღოს პროცესში მონაწილეობის შედეგად გაწეული ხარჯების ანაზღაურება და დაიბრუნოს გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს საქმის საჭიროებისათვის დროებით ჩამორთმეული მისი კუთვნილი ქონება.<sup>14</sup>

<sup>13</sup> ჯ. გახოკიძე, მ. მამნიაშვილი, ი. გაბისონია საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2013, გვ. 207

<sup>14</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2016, გვ.8

2013 წლის 19 ნოემბერს 22 მიღებულ იქნა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა დაზარალებულის უფლებების გაფართოებას, თუმცა, ცვლილებათა პაკეტში შესული ყველა რეგულაცია/ასპექტი არ ასახულა კანონმდებლობაში. კანონპროექტის საფუძველზე, 2014 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, დაზარალებული აღიჭურვა უფრო მეტი სამართლებრივი გარანტიითა და უფლებამოსილებით, კერძოდ: დაზარალებულს მიეცა შესაძლებლობა, გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, გაასაჩივროს პროკურორის ცალკეული გადაწყვეტილებები სასამართლოში. ამასთან, იმ პირს, რომელსაც დანაშაულის შედეგად გარკვეული ზიანი მიადგა, შეუძლია, მიმართოს პროკურორს დაზარალებულის პროცესუალური სტატუსის მინიჭების მოთხოვნით. დაზარალებულს მიენიჭა უფლება, წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 10 დღისა, გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს. გარდა ამისა, მოსამართლის თანხმობით, დაზარალებულს შეუძლია, დაესწროს პროცესის მიმდინარეობას სასამართლო სხდომის სრულად ან ნაწილობრივ დახურვის შემთხვევაში. აღნიშნული რეგულირება შესაძლებლობას აძლევს დაზარალებულს, ინფორმირებული იყოს სხდომაზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით, სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის მიუხედავად. აუცილებელია, რომ ზემოთ ხსენებული უფლება-მოვალეობების შესახებ დაზარალებულს დეტალურად მიეწოდოს ინფორმაცია. აღნიშნული საკითხი 2014 წელს ამოქმედებულმა ახალმა რეგულაციებმა მოაწესრიგა. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა უფლებების განმარტებას დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანას უკავშირებს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, პროკურორი ან, მისი დავალებით, გამომძიებელი, პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ, გააცნობს მას დაზარალებულს და განუმარტავს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებებს და ამ უფლებების განხორციელების პროცედურებს, რის შესახებაც ადგენს ოქმს. უფლებების გაცნობისა და დადგენილების გადაცემის ფაქტს დაზარალებული ადასტურებს ოქმზე ხელმოწერით.<sup>15</sup>

<sup>15</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2016, გვ.8

## თავი III. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები

### 3.1. პირის დაზარალებულად ცნობა;

უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ 2010 წელს განხორციელებულმა ცვლილებებმა და შეჯირებითმა სისხლის სამართლის პროცესმა დაზარალებულის სრულიად ახალი მოდელი შემოგვთავაზა, სადაც დაზარალებული იყო პროცესის პასიური მონაწილე და არა აქტიური მხარე. მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლისა და 2018 წლის ცვლილებებით, ასევე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაზარალებულის უფლებები გაუმჯობესდა, მაინც რჩება რამდენიმე ხარვეზი, რომელიც პრობლემებს ქმნის დაზარალებულის სამართლებრივ გარანტიებთან დაკავშირებით. მართალია, ამ ქვეთავში განხილული საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით დარეგულირდა დაზარალებულის სასარგებლოდ და გაითვალისწინა მისთვის გაცილებით დიდი სამართლებრივი გარანტია, რომელიც მას შემდგომში დარჩენილი უფლებამოსილებით სარგებლობის მეტ საშუალებას მისცემს, თუმცა, მაინც მნიშვნელობანია, ამ საკითხის განხილვა, ვინაიდან, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ეს საკითხი მწვავედ იდგა, როგორც დაზარალებულის უფლებების ხელმოფელი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი საშუალება. როგორც უკვე ვთქვით, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლი არეგულირებს პროკურორის მიერ პირის დაზარალებულად ცნობასა და მასთან დაკავშირებულ პროცედურებს. კერძოდ, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პირის დაზარალებულად ცნობა ხდება გამოძიების სტადიაზე. გამოძიების დაწყებისთანავე, თუ პროკურორისთვის ცნობილი გახდა დანაშაულებრივი ქმედებით პირისთვის ზიანის მიყენების ფაქტი, მან იგი დადგენილებით უნდა სცნოს დაზარალებულად. პირის დაზარალებულად ცნობა არ არის დამოკიდებული დანაშაულის მსხვერპლის ნება-

სურვილზე და არც მის ასაკსა და ფიზიკურ თუ ფსიქიკურ მდგომარეობაზე. პროკურორი ვალდებულია, მას შემდეგ, რაც დაადგენს პირის დაზარალებულად ცნობის მატერიალურ წინაპირობებს, მიანიჭოს მას დადგენილებით დაზარალებულის პროცესუალური სტატუსი. პირის დაზარალებულად ცნობა შესაძლებელია მხოლოდ საქმის სასამართლოში გაგზავნამდე. საქმის სასამართლოში არსებითი განხილვის ეტაპზეპისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება სამართლებრივად შეუძლებელია.<sup>16</sup> 2014 წელს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გათვალისწინებულმა ცვლილებებმა, დაზარალებულს და მის უფლებამონაცვლეს მიანიჭა უფლება, მიმართოს პროკურორს დაზარალებულის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით. ხოლო, მოთხოვნის შემდეგ, თუ პროკურორი დაადგენს პირის ან მისი უფლებამონაცვლის დაზარალებულად ცნობის საფუძველს, მან დადგენილებით პირი უნდა სცნოს დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლედ. თუ დაზარალებულის სტატუსის მინიჭების მოთხოვნის შესახებ განცხადების შეტანიდან 48 საათში პირს არ დაუკმაყოფილებოდა მოთხოვნა, ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულების შემთხვევაში, მას უფლება ჰქონდა საჩივრით მიემართა ზემდგომი პროკურორისთვის, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების შემთხვევაში კი, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებდა მის საჩივარს, მაშინ პირს უფლება ჰქონდა პროკურორის გადაწყვეტილება გაესაჩივრებინა პირველი ინსტანციის სასამართლოში. იგივე გასაჩივრების წესები მოქმედებდა პროკურორის მიერ დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გაუქმების შემთხვევაში (თუ მოგვიანებით აღმოაჩენდა, რომ არ იყო ამის საკმარისი საფუძველი), პირს უფლება ჰქონდა პროკურორის გადაწყვეტილება ერთჯერადად გაესაჩივრებინა ზემდგომ პროკურორთან, მძიმე და ნაკლებად მძიმე დანაშაულების დროს, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დროს, უფლება ჰქონდა, პროკურორის გადაწყვეტილება გაესაჩივრებინა პირველი ინსტანციის სასამართლოში, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებდა მის საჩივარს. აღნიშნული ქმნიდა ძალიან დიდ პრობლემას. პირველრიგში, პრობლემა იყო ის საკითხი, რომ ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრებით საერთოდ არ იყო დაცული დაზარალებულის ის სამართლებრივი გარანტიები, რასაც გასაჩივრების ინსტიტუტი ემსახურება, კერძოდ, დაზარალებულის უფლებების დაუსაბუთებელი შეზღუდვა და პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების კონტროლი. უმრავლეს შემთხვევაში, ქვემდგომი პროკურორი დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის გადაწყვეტილებას უთანხმებს ზემდგომ პროკურორს და, გასაჩივრების შემთხვევაში, ზემდგომი პროკურორი მას უცვლელად ტოვებს. ამასთან, ზემდგომი პროკურორის დასაბუთება გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ არის მინიმალურზე დაბალი. ამდენად, პრაქტიკულად, ჩვენ ვიგებთ მხოლოდ ზემდგომი პროკურორის მოსაზრებას, რომ ის ეთანხმება

<sup>16</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2016, გვ. 219;

გამოცემულ დადგენილებას და არანაირი სხვა დასაბუთება მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას არ გააჩნია.<sup>17</sup> როგორც კვლევები აჩვენებდა, ყველაზე მწვავედ ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის შემთხვევაში სასამართლოში გასაჩივრების შეუძლებლობის საკითხი სისხლის სამართლის 115-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულთან მიმართებით არის შემთხვევები, როდესაც პროკურატურა ცნობს პირს დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლედ სსკ-ის 115-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით, ხოლო რიგ შემთხვევებში, უარს ეუბნებიან პირებს შესაბამისი პროცესუალური სტატუსის მინიჭებაზე. მაგალითისათვის, მოქალაქე ლ.ა.-ს საქმეზე განმცხადებლის განმარტებით, 2015 წლის 17 ივნისს მისი მეუღლე წაიყვანეს ნარკოლოგიურ შემოწმებაზე. მან ვერ მოშარდა, რის შემდეგაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა დააღვივნეს სამი აბი შარდმდენი საშუალება. მიუხედავად ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარებისა, მას ნარკოტიკული საშუალების მოხმარება არ დაუდგინდა. განმცხადებლის მტკიცებით, ნარკოლოგიური დაწესებულებიდან წამოსვლის შემდეგ მისი მეუღლე ცუდად გახდა და რამდენიმე საათში გარდაიცვალა. გარდაცვლილის ოჯახის წევრების განმარტებით, პირის გარდაცვალების მიზეზი გახდა დიდი დოზით შარდმდენი საშუალების მიღება, რომელიც ნარკოლოგიური შემოწმების დროს დააღვივნეს. ამ საქმესთან დაკავშირებით, დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმე სსკ-ის 115-ე მუხლით. გარდაცვლილი ლ.ა.-ს მეუღლე მ.ჯ. ან მისი რომელიმე ახლო ნათესავი არ არის ცნობილი დაზარალებულის უფლებამონაცვლედ. მოცემულ შემთხვევაში, კი მათ არ აქვთ საკანონმდებლო ბერკეტი, შესაბამისი პროცესუალური სტატუსის მინიჭების თაობაზე იდავონ სასამართლოში. ასევე, მიუხედავად არაერთი მცდელობისა, პროკურატურა გარდაცვლილის ნათესავებსა და მათი ინტერესების დამცველ ადვოკატს საქმის მასალების გაცნობაზე უარს ეუბნება. საგულისხმოა, რომ სიკვდილის მიზეზის დასადგენად დანიშნულია ექსპერტიზა, რომლის პასუხი ჯერ კიდევ არ არის ცნობილი.<sup>18</sup> თუმცა, აღნიშნული შეიცვალა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით - საქართველოს მოქალაქეები - ხვიჩა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია და გვანცა გაგნიაშვილი და შპს „ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლი განსაზღვრავს პირის დაზარალებულად ცნობას, დაზარალებულის უფლებამოვალეობებსა და დაზარალებულის სტატუსის მინიჭების წესებს. ხსენებული ნორმის მე-5 ნაწილი არეგულირებს საკუთარი ინიციატივით ან პირის განცხადების საფუძველზე

<sup>17</sup> დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2016, გვ. 9;

<sup>18</sup> დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2016, გვ. 13;

პროკურორის მიერ აღნიშნული პირის დაზარალებულად ცნობას, ამასთან, განსაზღვრავდა, რომ გარდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევისა, პირის დაზარალებულად ცნობის განცხადებაზე ზემდგომი პროკურორის უარი არ საჩივრდება სასამართლო წესით. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, თუ პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ გაირკვევა, რომ ამის საფუძველი არ არსებობს, პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას ამ დადგენილების გაუქმების თაობაზე. დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გაუქმების თაობაზე პროკურორის გადაწყვეტილება ყველა კატეგორიის დანაშაულის შემთხვევაში ერთჯერად საჩივრდებოდა ზემდგომ პროკურორთან, ხოლო სასამართლოში - მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში. მოქალაქეები და საწარმოს წარმომადგენელი სარჩელებით ითხოვდნენ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილის მე-3 წინადადებისა და ამავე მუხლის მე-6 ნაწილის მე-3 წინადადების არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით დადგენილია კანონის წინაშე თანასწორობის უფლება, ხოლო 42-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლებას. აღნიშნული მნიშვნელოვანი იყო დაზარალებულთათვის, ვინაიდან, არსებული საკანონმდებლო მოწესრიგება ხარისხობრივად განასხვავებდა დარღვეულ უფლებებს და უშვებდა იმის შესაძლებლობას, რომ პირის ინტერესები მძიმე ანნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში დაუცველი დარჩებოდა.<sup>19</sup> ამასთან, დაზარალებულის სტატუსის მოპოვება მნიშვნელოვან როლს ასრულებს დაზარალებული პირისთვის, რამდენადაც მას უჩნდებოდა საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობა. ხოლო, დაზარალებულად ცნობის თაობაზე უარის გასაჩივრების უფლების შეზღუდვის საპირწონე სიკეთე იყო სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება. აღნიშნული ლეგიტიმური მიზნის უზრუნველსაყოფად, გამართლებული იყო სამართლიანი სასამართლოს უფლების ზოგიერთი კომპონენტის შეზღუდვა. სადავო ნორმების მოქმედების საფუძველზე, მცირდებოდა სასამართლოს მიერ დახარჯული რესურსი და დრო, რაც, საბოლოო ჯამში, გადატვირთვისაგან იცავდა სასამართლოს. ამასთან, დაზარალებულის მიერ გასაჩივრების ალტერნატიულ შესაძლებლობას შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დაეყენებინა პროკურორის დისკრეცია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად სცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილის მე-3 წინადადება და ამავე მუხლის მე-6 ნაწილის მე-3 წინადადება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და 42-ე მუხლის

<sup>19</sup> დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2016, გვ. 14;

პირველ პუნქტთან მიმართებით და ძალადაკარგულად გამოაცხადა ისინი. შესაბამისად, პირებს უფლება მიეცათ პროკურორის მიერ დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ ან/და დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გაუქმების გადაწყვეტილებები მძიმე და ნაკლებად მძიმე დანაშაულების შემთხვევაშიც გასაჩივრონ სასამართლოში, თუკი, ზემდგომი პროკურორი უარს იტყვის მათი საჩივრის დაკმაყოფილებაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვანი უფლებრივი კომპონენტია უფლებაშემზღუდველი ღონისძიებების/აქტების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი ნორმები ცხადყოფს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს უფლების დაცვის შესაძლებლობას საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული მართლმსაჯულების ინსტიტუციური გარანტიების, საერთო სასამართლოს სისტემის მეშვეობით.<sup>20</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „გასაჩივრების უფლება ასრულებს პრევენციულ ფუნქციას და, ერთი მხრივ, წარმოადგენს უფლების დაცვის ეფექტურ მექანიზმს და უზრუნველყოფს შესაძლო შეცდომების თავიდან აცილებას, ხოლო, მეორე მხრივ, ქმნის დაშვებული შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის №2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-55) ამასთან, „გასაჩივრების უფლება უზრუნველყოფს პირის განცდის ჩამოყალიბებას, რომ მას სამართლიანად მოექცნენ. კონკრეტული გადაწყვეტილების გასაჩივრება პირს შესაძლებლობას აძლევს, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს წინაშე კიდევ ერთხელ წარმოადგინოს საკუთარი პოზიციები, დაუპირისპირდეს მოპასუხე მხარეს, რაც ზრდის პირის სანდოობის აღქმას სასამართლო გადაწყვეტილების შედეგისადმი“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის №2/1/598 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ კანდელაკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-45).<sup>21</sup> დაზარალებულს, როგორც პირს, რომელსაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მორალური, ფიზიკური, თუ ქონებრივი ზიანი მიადგა, კანონმდებელი აღჭურავს გარკვეული უფლებებით. განსახილველ შემთხვევაში სადავოდ გამხდარი ნორმა უზღუდავს პირს პროკურორის იმ

<sup>20</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება - საქართველოს მოქალაქეები - ხვიჩა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია და გვანცა გაგნიაშვილი და „მპს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-5;

<sup>21</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება - საქართველოს მოქალაქეები - ხვიჩა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია და გვანცა გაგნიაშვილი და „მპს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-5;

გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებას, რომლითაც მას არ ენიჭება (უუქმდება) დაზარალებულის სტატუსი და კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში იზღუდებოდა დაზარალებულის კანონით მინიჭებული უფლებების სასამართლოს მეშვეობით დაცვის შესაძლებლობა. მოპასუხე მხარემ უთითებდა გადაწყვეტილების ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების შესაძლებლობაზე, როგორც უფლების დაცვის ალტერნატიულ მექანიზმზე. ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების გზით, შესაძლებელია, შემცირდეს უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების მიღების რისკი. ამავდროულად, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი იცავს პირის უფლებას, დაიცვას საკუთარი უფლებები ინსტიტუციურად და სისტემურად დამოუკიდებელ სასამართლო ორგანოში. ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების შესაძლებლობა და სასამართლოს წესით გასაჩივრება არ არის უფლების დაცვის იდენტური საშუალებები, ვინაიდან, ამ შემთხვევაში ქვემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება, ძირითად შემთხვევებში, შეთანხმებულია ზემდგომ პროკურორთან, როგორც მის ხელმძღვანელ პირთან, ხოლო სასამართლო არის დამოუკიდებელი და ნეიტრალური. შესაბამისად, ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების შესაძლებლობა ვერ ჩაანაცვლებს სამართლიანი სასამართლოს უფლებას. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო დაადგინა, რომ სადავო ნორმებით გათვალისწინებული აკრძალვა ზღუდავდა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ უფლებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ამ გადაწყვეტილების ფარგლებში, ასევე, იმსჯელა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე- ნაწილის მე-3 წინადადებისა და ასევე, ამავე მუხლის მე-6 ნაწილის მე-3 წინადადებაზე საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით, რომლის თანახმადაც, „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დანაშაულის კატეგორიზაცია ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებად ხდება სასჯელად გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადის მიხედვით, თავის მხრივ, ამა თუ იმ დანაშაულისათვის სასჯელს განსაზღვრავს კანონმდებელი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „კანონმდებელი განსაზღვრავს ქმედების საშიშროების ხარისხს და ადგენს შესაბამის სანქციებს. ამავე დროს, არსებობს პრეზუმფცია იმისა, რომ ამა თუ იმ ქმედებისათვის გათვალისწინებული სანქციის მოცულობა მიუთითებს მისი საზოგადოებრივი საშიშროების და გასაკიცხაობის ხარისხზე“ შესაბამისად, დანაშაულის მიმართ განსაზღვრული

თავისუფლების აღკვეთის ზომა, როგორც წესი, დამოკიდებულია მისი საზოგადოებრივი საშიშროებისა და გასაკიცხაობის ხარისხზე.<sup>22</sup>

შესაძლებელია, ცალკეულ შემთხვევაში განსხვავებული იყოს დანაშაულიდან მომდინარე საზოგადოებრივი საშიშროება, დამნაშავეს გასაკიცხაობის ხარისხი და არ განსხვავდებოდეს დაზარალებულისათვის დანაშაულით მიყენებული ფიზიკური, მორალური და ქონებრივი ზიანის მოცულობა. ამასთან, შესაძლოა, კანონმდებელმა სხვადასხვა დროს სხვადასხვა კატეგორიაში მოაქციოს ესა თუ ის დანაშაული და, შესაბამისად, გადაანაცვლოს დაზარალებულის სტატუსზე წვდომის შესაძლებლობები, თუმცა, ბუნებრივია, დანაშაულის კვალიფიკაციასთან ერთად, ვერ შეიცვლება პირის დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ხარისხი და დაზარალებულად ცნობის ინტერესი (იხ. MutatisMutandis საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის N1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13).<sup>23</sup> აქედან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით აღიარებული თანასწორობის უფლების შეზღუდვა. შესაბამისად, ამ საკითხთან დაკავშირებით დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ერთი-ორად გაიზარდა დაზარალებული სამართლებრივი გარანტიები, რომელიც უზრუნველყოფს დანაშაულის მსხვერპლისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების დაუბრკოლებლად რეალიზაციას. ის ფაქტი, რომ გასაჩივრების უფლება ასრულებს პრევენციულ ფუნქციას, წარმოადგენს უფლების დაცვის ეფექტურ მექანიზმს, უზრუნველყოფს შესაძლო შეცდომების თავიდან აცილებას და ქმნის დაშვებული შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობას მოწმობს სასამართლო პრაქტიკაც ამ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, 2019 წლის 05 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოდან N1-01202/1617 მომართვის წერილით გამოთხოვილი იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამი განჩინება, საიდანაც, ორ შემთხვევაში დაკმაყოფილდა დაზარალებულის (უფლებამონაცვლის) საჩივარი დაზარალებულად (დაზარალებულის უფლებამონაცვლის) თაობაზე. კერძოდ, 2015 წლის 22 აპრილის განჩინებით თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ შორენა გუნცაძემ დააკმაყოფილა გარდაცვლილი დის საჩივარი დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის

<sup>22</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №2/7/779 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-28.

<sup>23</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება - საქართველოს მოქალაქეები - ხვიჩა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია და გვანცა გაგნიაშვილი და „მპს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-5;

თაობაზე. როგორც საქმის ფაბულიდან იკვეთებოდა, 2014 წლის 16 დეკემბერს თბილისის შსს მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს პირველ განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სსკ-ის 108-ე მუხლით. მართალია, სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში ბრალდებულის სახით მიცემული არავინ არ იყო, თუმცა, ფაქტი იყო, რომ სასიკვდილო შედეგი დადგა დანაშაულის შედეგად, რომელიც მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს. 2015 წლის 2 მარტს დაზარალებულის დამ (რომელიც იყო გარდაცვლილის ერთადერთი ახლო ნათესავი) მიმართა პროკურორს განცხადებით და მოითხოვა დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობა, რაზეც უარი მიიღო, იმ ზოგადი განმარტებით, რომ არ იყო მისი დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის საფუძველი. შემდეგ, გარდაცვლილის დამ მიმართა ზემდგომ პროკურორს, რაზეც მიიღო იგივე პასუხი.<sup>24</sup> საბოლოოდ, გარდაცვლილის დამ ხსენებული უარი გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოში, სადაც მისი საჩივარი დაკმაყოფილა. მოსამართლემ განმარტა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-16 ნაწილის თანახმად, პროკურორი ვალდებულია საქმესთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილება მიიღოს დადგენილების სახით, შესაბამისად, დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობაზე უარიც უნდა მიეღო დადგენილების სახით და არა სიტყვიერად. ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ ის ფაქტი, რომ იმ დრომდე განზრახი მკვლელობის მუხლით ბრალი არ წარდგენია არავის, არ ნიშნავს, რომ დანაშაულს დაზარალებული არ ყავს. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ გარდაცვლილის დას უსაფუძვლოდ ეთქვა უარი დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის თაობაზე. ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ელენე გოგუაძის 2017 წლის 02 მაისის განჩინებით დაკმაყოფილდა დაზარალებულის ინტერესების დამცველი ადვოკატის საჩივარი და პირი ცნობილ იქნა დაზარალებულად. როგორც განჩინებიდან ირკვევა, 2017 წლის 15 მარტს თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება სსკ-ის 1441 მუხლის მე-2 41 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს, წამებას, რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისთვის, ჩადენილი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ. შემდგომში დაზარალებულის განმარტებით, 2017 წლის 16 თებერვალს, 18:00 საათზე ორმა პოლიციის თანამშრომელმა გადაიყვანა იგი ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოს მე-5 განყოფილებაში და მოითხოვა მისგან აღიარებითი ჩვენების მიცემა, თანაც ისეთ ქმედებაზე, რომელიც მას ჩადენილი არ ჰქონდა. ამასთან, დაზარალებული ინფორმაციით, ადგილი ჰქონდა მის მიმართ მუქარასა და ფიზიკურ ძალადობას. ამის შემდგომ,

<sup>24</sup> დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2016 „გვ,15;

ვინაიდან, დაზარალებულის ფიზიკური მონაცემები არ ემთხვეოდა რეალური დამნაშავეს გარეგნობას, იგი გამოუშვეს განყოფილებიდან. დაზარალებულის განმარტებით, ამის შემდგომ დამძიმდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და საჭირო გახდა მისი გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებაში. ოჯახის მიერ განხორციელდა სამედიცინო ექსპერტიზა, რომელიც ადასტურებდა პირის ფიზიკურ დაზიანებებს.<sup>25</sup> სასამართლომ ამ განჩინებაშიც განმარტა, რომ იმის მიუხედავად, ბრალი წარედგინა თუ არა ვინმეს, არსებობს სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ცხადყოფს, რომ პირი არის დანაშაულის მსხვერპლი. შესაბამისად, იმის მიუხედავად, გამოძიებას დადგენილი აქვს თუ არა, თუ რომელმა კონკრეტულმა პოლიციის თანამშრომელმა მიაყენა მას ეს ზიანი, ფაქტი არის ერთი, რომ პირის მიმართ განხორციელდა დანაშაულებრივი ქმედება, რაც საკმარის საფუძველს იძლევა იმისთვის, რომ იგი იქნეს დაზარალებულად ცნობილი. გარდა ამისა, სასამართლო განმარტავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-6 ნაწილი პროკურორს აძლევს შესაძლებლობას, რომ, თუკი, გამოძიების შემდგომ ეტაპზე ნათელი გახდება, რომ არ იყო პირის დაზარალებულად ცნობის საკმარისი სამართლებრივი საფუძველი, მას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გაუქმების შესახებ.<sup>26</sup>

აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ ამ საქმეზე ეს პირი ცნობილი უნდა ყოფილიყო დაზარალებულად. ზემოთ განხილული ორი განჩინებიდან ცხადად ჩანს, რომ სასამართლოს მიერ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების გადასინჯვა ხშირ შემთხვევაში არის გამართლებული, რათა მაქსიმალურად თავიდან იქნეს აცილებული ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებში არამართებული ჩარევა. ამასთან, ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ორივე განჩინება ეხება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ ფაქტს; საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილების შემდეგ, დიდი ალბათობით, გახშირდება სასამართლოს მიერ ისეთი განჩინებების მიღება, რომლითაც დაკმაყოფილდება ან უარი ეთქმევა მძიმე ან ნაკლებად მძიმე დანაშაულების მსხვერპლების საჩივარზე, დაზარალებულად (დაზარალებულის უფლებამონაცვლედ) ცნობის თაობაზე.

<sup>25</sup> დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2016 .,გვ.16;

<sup>26</sup> დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2016, გვ.14;

### 3.2. საქმის მასალების გაცნობისა და სისხლის სამართალწარმოების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დაზარალებულს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაზარალებულის მიერ ინფორმაციის მიღებისა და მასალების გაცნობის თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პროკურორი ან/და გამომძიებელი ხსენებულ ქმედებასთან დაკავშირებით ადგენს ოქმს. ხოლო, თუ დაზარალებულის მოთხოვნის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს, პროკურორი ან/და გამომძიებელი ვალდებულია მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლის აღმოფხვრის თანავე აცნობოს დაზარალებულს ამის შესახებ და, შესაბამისად, მიაწოდოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გააცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალები. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული უფლება დაზარალებულს მიენიჭა 2014 წელს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად.

გამოძიების ინტერესი არის ძალიან ფართო ცნება და შეიძლება გახდეს მრავალნაირი ინტერპრეტაციის საფუძველი. შესაბამისად ყოველთვის, როდესაც დაზარალებულს უარს ეტყვიან ხსენებული უფლებით სარგებლობაზე, შესაბამისი თანამდებობის პირი ვალდებული უნდა იყოს მოახსენოს დაზარალებულს არა ზოგადი საფუძველი, არამედ ის კონკრეტული მიზეზი, რომელმაც გამოიწვია დაზარალებულისთვის ამ უფლების რეალიზაციაზე უარის თქმა. მაგალითად: დაზარალებულს შესაძლებელია სურდეს საქმის მასალების გაცნობის შემდეგ მიღებული ინფორმაცია გააჟღეროს მედია სივრცეში, რამაც შესაძლოა დიდი ზიანი მიაყენოს გამოძიებას, ვინაიდან, ხშირად საქმეზე მიმდინარეობს ფარული საგამომიებო მოქმედებები, მაგ: სატელეფონო მიყურადება, რომლის შესახებაც არსებული ცნობის გახმაურებამ შესაძლოა მიგვიყვანოს ამ საგამომიებო მოქმედების უშედეგობამდე. თუკი, იმ პირებისთვის, რომლის მიმართაც მიმდინარეობს საგამომიებო მოქმედებები, ცნობილი გახდება, რომ მიმდინარეობს მათი სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა, ისინი ტელეფონით აღარ ისაუბრებენ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელსაც შესაძლოა, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს გამოძიებისთვის. - ასეთ შემთხვევებში, რა თქმა უნდა, დაზარალებულს უარი უნდა

ეთქვას საქმის მასალების გაცნობაზე.<sup>27</sup> გამომძიებელი ან/და პროკურორი, ვალდებული უნდა იყოს აუხსნას დაზარალებულს, კონკრეტული მიზეზი და ამ საშიშროების აღმოფხვრისთანავე, მისცეს დაზარალებულს შესაძლებლობა, გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს. გარდა ხსენებულისა, დაზარალებულს უნდა ეძლეოდეს შესაძლებლობა, არა მხოლოდ გაეცნოს, არამედ იქონიოს სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები. გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, სისხლის სამართლის საქმეები საკმაოდ დიდი მოცულობისაა, ამიტომ, დაზარალებულისთვის ძალიან რთულია მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია მასალების გაცნობის პროცესში, თუ არ მიეცა მისი დაასლებისა და შემდგომ მათი დამუშავების შესაძლებლობა. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არც თუ ისე იშვიათ შემთხვევაში, გამოძიება მიმდინარეობს ორი ან მეტი დანაშაულის ფაქტზე. შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეებში ხშირად იქმნება სიტუაცია, როდესაც საქმეში ფიგურირებს ორი ან მეტი დაზარალებული. აქედან გამომდინარე, საქმის მასალები შესაძლოა მოიცავდეს, როგორც ერთი დაზარალებულის, ასევე, მეორე ან მესამე და დაზარალებულის შესახებ არსებულ პერსონალურ ინფორმაციას. ამასთან, შესაძლებელია, საერთოდ არ იყოს პირი დაზარალებული და იყოს მოწმე სისხლის სამართლის საქმეზე, შესაბამისად, საქმის მასალები მოიცავდეს პერსონალურ მონაცემებს მათ შესახებ. მაგალითად: როდესაც, გამოძიების ეტაპზე ხდება პირის, მოწმის სახით, გამოკითხვა, გამოკითხვის ოქმში გამოყოფილია სპეციალური გრაფა, სადაც ეთითება იმის შესახებ, პირი ნასამართლევა თუ არა. დადებითი პასუხის შემთხვევაში, ეთითება შესაბამისი მუხლი, რომლითაც პირი არის ნასამართლევი. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პირის ნასამართლობასთან დაკავშირებული ინფორმაცია არის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი, რომლის დამუშავებაც ამავე კანონის მე-6 მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, აკრძალულია.<sup>28</sup> ხსენებული მაგალითიდან გამომდინარე, სავსებით მარტივადაა შესაძლებელი, ერთი პირის შესახებ არსებული განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემი ცნობილი გახდეს ისეთი პირისთვის, ამ შემთხვევაში, დაზარალებულისთვის, რომლისთვისაც ამის ცნობა დაუშვებელია, ვინაიდან, გამოკითხვის ოქმი არის საქმის მასალა, შესაბამისად, დაზარალებულის მიერ საქმის მასალების გაცნობის შემთხვევაში, მისთვის ხელმისაწვდომია ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია პირის/პირების შესახებ. - შესაბამისად, დაზარალებულის მიერ სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის შედეგად, შესაძლოა ზიანი მიადგეს მესამე პირის ინტერესებსაც. ყოველივე აქედან გამომდინარე, აუცილებელია დაზარალებულს სისხლის

<sup>27</sup> პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი“, (2021 წლის 08 მაისის მდგომარეობით), მუხლი მეორე, ქვეპუნქტი „ბ“;

<sup>28</sup> პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი“, (2021 წლის 08 მაისის მდგომარეობით), მუხლი მეორე, ქვეპუნქტი „ბ“;

სამართლის საქმის მასალები მიეწოდებოდა დაშტრიხული სახით. კერძოდ, რეკომენდირებულია, დაშტრიხული იყოს მესამე პირის შესახებ არსებული მონაცემი. ის ფაქტი, რომ დაზარალებულს არ აქვს სისხლის სამართლის საქმის მასალებისთვის ასლების გადაღების შესაძლებლობა, დიდ პრობლემას უქმნის დაზარალებულს სხვა უფლებების რეალიზაციაში. მაგ: მას არ ეძლევა შესაძლებლობა საკმარისი დოკუმენტაცია წარადგინოს ალტერნატიულ ექსპერტიზაზე, რომელიც მისი ინიციატივით ინიშნება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დაზარალებულს ჰქონდეს სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები, რომლებიც დაეხმარება მას შემდგომ თავისი უფლებების სრულყოფილად რეალიზაციაში.

### 3.3. პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმი

2010 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანო არის პროკურატურა. 1998 წლის კოდექსისგან განსხვავებით, დაზარალებული არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტს; ახალი რეგულაციებით, დაზარალებულს ენიჭება მხოლოდ პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება.

თანამედროვე დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოში დანაშაულის ჩამდენი პირის დასჯა მხოლოდ სახელმწიფოს უფლებაა, ამიტომ დაზარალებულის ინტერესი – თავად განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა და პიროვნების დასჯა, არ შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნეს. ვინაიდან, დანაშაულით ირღვევა საჯარო წესრიგი, სისხლის სამართლის პროცესიც მიმართულია იქითკენ, რომ მოაგვაროს კონფლიქტი, პირველ რიგში, სავარაუდო დამნაშავესა და საზოგადოებას შორის. ამიტომაც, დაზარალებული სისხლის სამართლის პროცესში მთავარ როლს არ ასრულებს.<sup>29</sup> თანამედროვე კრიმინალური პოლიტიკის მიზანია, განდევნოს პირადი ანგარიშსწორება და შექმნას ისეთი მართლმსაჯულება, რომელიც პასუხს აგებს საზოგადოების წინაშე და მიმართული იქნება დამნაშავე პირის რესოციალიზაციისა და მის კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბებაზე. გადაწყვეტილება იმის თაობაზე, უნდა დაისაჯოს თუ არა დანაშაულის ჩამდენი და რა ფორმით უნდა აგოს მან პასუხი, უნდა მიიღოს არა დაზარალებულმა, არამედ ამისათვის შექმნილმა ლეგიტიმურმა სახელმწიფო ორგანოებმა.<sup>30</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის თანახმად სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანო არის პროკურატურა. ხოლო, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში პროკურორი სარგებლობს

<sup>29</sup> გიორგი თუმანიშვილი, დაზარალებული თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში, სამართლის ჟურნალი N2, 2009, გვ.75;

<sup>30</sup> გიორგი თუმანიშვილი, დაზარალებული თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში, სამართლის ჟურნალი N2, 2009, გვ. 75-76;

დისკრეციული უფლებამოსილებით, რა მომენტშიც, იგი ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესით.<sup>31</sup>

იუსტიციის მინისტრის N181 ბრძანებაში ასახულია ის ზოგადი პრინციპები და კრიტერიუმები, რაც დაეხმარება პროკურორს დისკრეციული სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტილების მიღებაში. გარდა ამისა, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას, პროკურორი ხელმძღვანელობს თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. კანონით განსაზღვრული პრინციპების დაცვით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, პროკურორმა თავისი შინაგანი რწმენასა და შეხედულებაზე დაყრდნობით, უნდა გადაწყვიტოს, დაიწყოს თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა. ზემოთ აღნიშნული იუსტიციის მინისტრის ბრძანება (N181), ადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის ტექსტს - ე.წ. „სრულ ტექსტ“, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც, პროკურორი უფლებამოსილია დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა. აღნიშნული, თავის მხრივ, შედგება ორი ტექსტიდან - მტკიცებულებითი ტექტი, - რა დროსაც პროკურორმა უნდა განსაზღვროს, არსებობს თუ არა პირის მიმართ საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ქმნის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ ამ პირმა ჩაიდინა დანაშაული. და ასევე, არის მეორე ტექტი, - საჯარო ინტერესის ტექტი, რა დროსაც, შესაძლებელია პირის მიმართ არსებობდეს მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტისთვის, თუმცა, დევნის დაწყება ეწინააღმდეგებოდეს საჯარო ინტერესს.<sup>32</sup> - მაგალითად, განვიხილოთ შემდეგი საქმე: გამოძიება მიმდინარეობდა რამდენიმე პირის მიმართ უკანონო სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლის 1-ელი ნაწილით. გამოძიებით დადგენილი იყო, რომ ყოველი მათგანი რეგისტრაციის გარეშე ახორციელებდა სამწარმეო საქმიანობას, რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება. აღნიშნული პირები მიღებულ შემოსავალს არ ადეკლარირებდნენ კანონით დადგენილი წესით და არ იხდიდნენ თანხებს სახელმწიფო ბიუჯეტში. თუმცა, აღსანიშნავი იყო მათგან ერთ-ერთი პირის ქმედება, რომელიც რეგისტრაციის გარეშე სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებდა მხოლოდ 2018 წელს, ხოლო 2018 წლის წლიური საშემოსავლო დეკლარაციის წარგდენის უფლება პირს ჰქონდა 2019 წლის 1 აპრილამდე. ხსენებულმა პირმა, საგამოძიებო ორგანოში გამოკითხვის შემდგომ დაადეკლარირა მიღებული შემოსავალი 2019 წლის 1 აპრილამდე და შესაბამისი თანხა (მიღებული შემოსავლის

<sup>31</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლი

<sup>32</sup> იუსტიციის მინისტრის ბრძანება N181, სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ, II. სისხლისსამართლებრივი დევნის სახელმძღვანელო პრინციპები, 3. პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე

20%) გადაიხადა ბიუჯეტში. პროკურორმა განხილა ზ/ა შემთხვევა და მიუხედავად იმისა, რომ საქმეზე იყო ყველა საჭირო მტკიცებულება, იმისთვის, რომ დაეწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, მან უარი თქვა დევნის დაწყებაზე საჯარო ტესტიდან გამომდინარე - კერძოდ, გაითვალისწინა მან ის ფაქტი, რომ პირი წინათ არ იყო ნასამართლელი, რომ უკანონო სამეწარმეო საქმიანობა მიეკუთვნებოდა ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, რომ პირმა აანაზღაურა შესაძლო ზიანი, რომელიც ბიუჯეტს შესაძლოა მისგომოდა მისი დანაშაული ქმედების შედეგად და გადაწყვიტა, რომ არ არსებობდა საჯარო ინტერესი შესაბამისად, უარი თქვა, ამ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, თუ რამხელა კომპეტენციაა საჭირო, იმისთვის, რომ პირის მიმართ სამართლიანად და კანონის დაცვით განხორციელდეს სამართლებრივი დევნა. შესაბამისად, დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპების შესაფერისია საქართველოში მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უფლებას ანიჭებს მხოლოდ შესაბამისი ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილ სახელმწიფო უწყებას - პროკურატურას.

2010 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, დაზარალებულს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებასთან დაკავშირებით მიენიჭა შემდეგი უფლება: თუკი, პროკურორი უარს იტყვის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე, ან მიიღებს დადგენილებას გამოძიების/სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, დაზარალებულს უფლება აქვს, გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ან დანაშაული, რომელიც, კანონის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა. ამ შემთხვევაში, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, დაზარალებულს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. სასამართლოს განჩინება გამოაქვს 15 დღის ვადაში, ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.<sup>33</sup> სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობა ვრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup>-144<sup>3</sup> მუხლებით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 335-ე მუხლით ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულზე, თუ იგი

<sup>33</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, (2021 წლის 08 მაისის მდგომარეობით), მუხლი 106, ნაწილი 1

ჩადენილია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, აგრეთვე მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ.<sup>34</sup>

დაზარალებულის ამ უფლებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ როგორც წესი, პროკურორი მოქმედებს თავის ზემდგომ პროკურორთან შეთანხმებით, მითუმეტეს, ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება. აქედან გამომდინარე, დაზარალებულის მიერ დევნის დაწყებაზე უარის ან დევნის შესახებ გადაწყვეტილებას გასაჩივრება ზემდგომ პროკურორთან არის ფორმალური ხასიათის და თითქმის, არასდროს აქვს აზრი. აქედან გამომდინარე, სამართლიანი იყო საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება, გაასაჩივროს სასამართლოში ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულების შემთხვევაშიც.

### **3.4. მტკიცებულებების წარდგენის უფლება 1998 წლის სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით**

დაზარალებული უფლებამოსილი იყო დაეყენებინა შუამდგომლობა - მტკიცებულების გამოთხოვის, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების, სასამართლო მოქმედების ჩატარების, სისხლის სამართლის საქმის გარემოების შემოწმების ან/და სამართალწარმოების პროცესში წამოჭრილი სხვა საკითხების შესახებ. დაზარალებული უფლებამოსილი იყო სამართალწარმოების მიმდინარეობისას, თავისი ინიციატივით, წარმოედგინა მტკიცებულება. ეს იყო ინკვიზიციური პროცესი, სადაც დაზარალებული, ისევე, როგორც ბრალდებისა და დაცვის მხარე წარმოადგენდა მხარეს სამართალწარმოებაში და ჰქონდა ფართო უფლებამოსილებები. მოქმედი კანონმდებლობით, სადაც სისხლის სამართლის პროცესს აქვს შეჯიბრებითი ხასიათი, დაზარალებულის უფლებები, რომელსაც იგი 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ფლობდა, მინიმუმამდეა დაყვანილი; დაზარალებული აღარაა პროცესის აქტიური მხარე და შესაბამისად, მას არც მტკიცებულების წარდგენისა და არც მისი გამოკვლევის უფლება აღარ აქვს. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესის მხარეს აქვს

<sup>34</sup> საქართველოს კანონი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ, (2021 წლის 08 მაისის მდგომარეობით), მუხლი 19, ნაწილი პირველი, ქვეპუნქტი „ა“.

უფლება, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით წარადგინოს და გამოიკვლიოს მტკიცებულება. დაზარალებულისთვის აღნიშნული უფლების არარსებობა წარმოადგენს ძალიან დიდ პრობლემას, ვინაიდან, მას არ აქვს საშუალება, რაიმე სახით იბრძოდეს სამართლიანობისთვის; იგი მთლიანად დამოკიდებული ხდება ბრალდების მხარის საქმისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებაზე. დაზარალებულს უნდა ჰქონდეს მტკიცებულების წარდგენის უფლება ან მტკიცებულების მოპოვების შესახებ შუამდგომლობის დაყენების უფლება. ხშირად არის შემთხვევები, როდესაც ძალადობრივი დანაშაულის შედეგად, ჭიანჭურდება როგორც დაზარალებულად ცნობის, ასევე, დაზარალებულის სამედიცინო მდგომარეობის შესახებ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის გაცემა. რა დროს განმავლობაშიც, დაზარალებულის ფიზიკური მდგომარეობა უმჯობესდება, იმასთან შედარებით, ვიდრე დანაშაულის ჩადენისას ჰქონდა. ასეთ შემთხვევებში, დაზარალებულის მიერ საკუთარი ინიციატივით ჩატარებულ სამედიცინო ექსპერტიზას აზრი ეკარგება, ვინაიდან, მას მტკიცებულებითი ძალა არ აქვს, რადგან უფლებამოსილი პირის - პროცესის მხარის მიერ არ არის მოპოვებული. ასევე, შესაძლებელია, რომ იმ მომენტისათვის, დაზარალებულს არ ჰქონდეს შესაბამისი მატერიალური სახსრები ექსპერტიზის ჩატარებისთვის. ამასთან, ხშირია შემთხვევები, როდესაც დაზარალებული არ ეთანხმება ბრალდების მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნას და თვლის, რომ დანაშაულის შედეგად მას გაცილებით მძიმე დაზიანებები მიადგა, ვიდრე ეს დასკვნაშია მითითებული. ასეთ შემთხვევაში, დაზარალებულს უნდა ჰქონდეს უფლება, ჩაიტაროს ალტერნატიული ექსპერიზა ან იშუამდგომლოს ბრალდების მხარესთან, რომ დანიშნოს ბრალდების მხარემ ალტერნატიული სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის დასკვნაც პირდაპირ დაერთდება სისხლის სამართლის საქმეს. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც საგამომიები ორგანოში შედის დაზარალებულის განცხადება, რომელსაც თან ახლავს დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს დანაშაულის ფაქტს. ასეთ შემთხვევაში, ხსენებული დოკუმენტაციის დამაგრება საქმეზე ხდება მხოლოდ დათვალიერების შედეგად, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას მტკიცებულებითი ძალა არ აქვს, რაც დროში აჭიანურებს პროცესს. ასევე, დაზარალებულები ხშირ შემთხვევებში წარადგენენ დანაშაულის დამადასტურებელ დოკუმენტებს ასლის სახით. ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია პროკურორის შუამდგომლობის შედეგად მიღებული სასამართლო განჩინების საფუძველზე მოხდეს შესაბამისი დოკუმენტების დედნების ამოღება დაზარალებულისგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ დოკუმენტაციას მტკიცებულებითი ძალა არ ექნება. „პროკურატურას ყველა მექანიზმი გააჩნია დაზარალებული მოქალაქის ბლოკადაში მოსაქცევად. ვთქვათ, დაზარალებულს მიაჩნია, რომ მას მიადგა გაცილებით მძიმე დაზიანება, ვიდრე ეს დასკვნაშია წარმოდგენილი. მას არ აქვს ბერკეტი, დაიცვას თავისი ინტერესი, განსხვავებით

ბრალდებულისგან, რომელსაც შეუძლია დაიქირაოს ადვოკატი, მოითხოვოს ექსპერტიზა და ა.შ, დაზარალებული კი მთლიანად პროკურატურაზეა ჩამოკიდებული და დამოკიდებული. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიურო დასკვნების გაცემას ხშირად 1 წლითაც აჭიანურებს, ამასობაში კი, პაციენტის მდგომარეობის ამსახველი სურათი იცვლება.<sup>35</sup> მართალია დაზარალებული არის სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე, რაც სავსებით შეესაბამება თანამედროვე დემოკრატიული ქვეყნის სამართლებრივ სტანდარტებს, თუმცა, იმისთვის, რომ დაზარალებულს მიეციეს მტკიცებულების წარდგენის ან მტკიცებულების მოპოვების შესახებ შუამდგომლობის დაყენების უფლება, თუნდაც, მხოლოდ ბრალდების მხარესთან, არ არის აუცილებელი დაზარალებული მოგვევლინოს, როგორც სისხლის სამართლის პროცესის აქტიური მხარე. ამისთვის, საკმარისია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში გაჩნდეს ჩანაწერი, რომელიც გაითვალისწინებს დაზარალებულისთვის ამ უფლებას. რეალობას არ ვიქნებით აცდენილნი, თუ ვიტყვით, რომ უკლებლივ ყველა დაზარალებულს არ აქვს ის მინიმალური სამართლებრივი ცოდნა, რითაც შეძლებს შეაფასოს რელევანტურია თუ არა ესა თუ ის მტკიცებულება საქმისთვის. ამიტომ, თუ მას ექნება მტკიცებულების წარდგენის ან შუამდგომლობის დაყენების უფლება ბრალდების მხარესთან, ბრალდების მხარესაც უნდა ჰქონდეს უფლება შეაფასოს დაზარალებულის მიერ წარდგენილი მტკიცებულება და საქმისადმი რელევანტურობით გადაწყვიტოს, არის თუ არა აუცილებელი მისი დართვა სისხლის სამართლის საქმეზე. ამასთან, თუკი დაზარალებულს ექნება მტკიცებულების წარდგენის ან მტკიცებულების მოპოვების შესახებ შუამდგომლობის დაყენების უფლება, მას უნდა ჰქონდეს ამ უფლების რეალიზაციაზე უარის თქმის გასაჩივრების უფლებაც. ვინაიდან, თუკი არსებობს უფლება, უნდა არსებობდეს მისი დაცვის მექანიზმიც. ამასთან, აუცილებელია, რომ ხსენებულ უფლების რეალიზაციაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის/გამომძიებლის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება მას უნდა ჰქონდეს, არა მხოლოდ პროკურორთან ან/და ზემდგომ პროკურორთან, არამედ სასამართლოშიც. ვინაიდან, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, გამომძიებელი, პროკურორი და ზემდგომი პროკურორი - ზოგადად ბრალდების მხარე - მუშაობენ კოორდინირებულად და მათი გადაწყვეტილებები, ხშირ შემთხვევაში, შეთანხმებულია ერთმანეთთან.

---

<sup>35</sup> სასამართლო სამედიცინო ექსპერტის მაია ნიკოლეიშვილის ინტერვიუ; <http://www.sazogadoeba.ge>

## თავი IV

### დაზარალებულის უფლებები პროკურორის მიერ სისხლისამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში

როგორც ზემოთ აღინიშნა მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად.<sup>36</sup>

დაზარალებული მითითებული კოდექსისგან გამომდინარე აღარ წარმოადგენს პროცესის (ბრალდების) მხარეს. დაზარალებულის სტატუსი და უფლებები ახლებურადაა მოწესრიგებული. იგი არის პროცესის მონაწილე. მას გაჩნია სახელმწიფო ბრალდებისაგან ინფორმაციის და კონსულტაციის მიღების ფართო უფლებები, თუმცა, აღარ აქვს ძველი საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მრავალი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების გასაჩივრების და პროცესის მსვლელობაში ჩარევის უფლება. ამასთან, დაზარალებულს შეუძლია ქონებრივი ინტერესების დაცვა სამოქალაქო წესით. სამოქალაქო სარჩელის განხილვა აღარ არის დამოკიდებული სისხლის სამართლის საქმის შედეგზე.<sup>37</sup>

დაზარალებულს სსსკ-ის 57-ე მუხლის თანახმად გააჩნია შემდეგი უფლებები:

---

<sup>36</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=103> (გადამოწმებულია 07.06. 2021)

<sup>37</sup> სახელმძღვანელო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გამლიერებული ტრენინგისათვის, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2012, გვ. 17

- იცოდეს ბრალდებულისთვის წარდგენილი ბრალდების არსი;
- მიიღოს ინფორმაცია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 58-ე მუხლით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედების შესახებ;
- სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას , სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოთანის თაობაზე შუამდგომლობის განხილვისას და სასჯელის შეფარდების სასამართლო სხდომაზე მისცეს ჩვენება იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას დანაშაულის შედეგად მიადგა, ან წერილობით წარუდგინოს სასამართლოს აღნიშნული ინფორმაცია;
- უფასოდ მიიღოს გამოძიების ან და სისხლისამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების/განჩინების , განაჩენის , სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ასლი;
- მიიღოს პროცესში მონაწილეობის შედეგად გაწეული ხარჯების ანაზღაურება;
- დაიბრუნოს გამოძიებისას და სასამართლო განხილვისას საქმის საჭიროებისთვის დროებით ჩამორთმეული, მისი კუთვნილი ქონება;
- მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება, თუ საფრთხე ემუქრება როგორც მის, ისე მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის სიცოცხლეს,ჯანმრთელობას ან/და საკუთრებას;<sup>38</sup>
- მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს
- მოთხოვნის შემთხვევაში მიიღოს ინფორმაცია ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების თაობაზე და ბრალდებული/მსჯავრდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულების დატოვების შესახებ, თუ ამით ბრალდებულს ან მსჯავრდებულს რეალური საფრთხე არ ემუქრება;
- წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 10 დღისა გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს;
- მიმართოს ბრალდების მხარეს სსსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მიზნით სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ შუამდგომლობის დაყენების მოთხოვნით;
- მიიღოს განმარტება თვისი უფლება-მოვალეობების შესახებ
- ისარგებლოს სსსკ-ით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.<sup>39</sup>

<sup>38</sup> [https://matsne.gov.ge/ka/უკანასკნელად გადამოწმებული იქნა. 07.06. 2021](https://matsne.gov.ge/ka/უკანასკნელად%20გადამოწმებული%20იქნა.%2007.06.2021)

<sup>39</sup> [https://matsne.gov.ge/ka/უკანასკნელად გადამოწმებული იქნა. 07.06. 2021](https://matsne.gov.ge/ka/უკანასკნელად%20გადამოწმებული%20იქნა.%2007.06.2021)

სსსკ-ის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაზარალებულს გააჩნია მოწმის ყელა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა, მიუხედავად ამისა, მისი სამართლებრივი სტატუსი მოწმისაგან არსებითად განსხვავდება. დაზარალებულს კანონმდებელი აძლევს შესაძლებლობას, მიიღოს მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესში და გარკვეულწილად მოახდინოს ზმოქმედება პროცესის მიმდინარეობაზე და სწორედ ამიტომ კანონმდებლობა დაზარალებულს ანიჭებს შემდეგ უფლებებს<sup>40</sup>:

დაზარალებულს ასევე უფლება აქვს უფასოდ მიიღოს სისხლისსამართლებრივი დევნის ან და გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების, განაჩენის, სხვა შემაჯამებელი სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი. ამასთან პროკურორი დაზარალებულს უზავნის სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების ასლს. დაზარალებულის ინფორმირებულობისათვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღებამდე პროკური კონსულტაციას გადის დაზარალებულთან, რის თაობაზეც დგება შესაბამისი ოქმი. აღნიშნული აძლევს დაზარალებულს შესაძლებლობას გარკვეულწილად მოახდინოს პროკურორის გადაწყვეტილებაზე გავლენა, რაც თავის მხრივ პროკურორსაც დახმარებას უწევს სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში. იგივე წესი მოქმედებს პროკურორის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების გამოტანამდე. დაზარალებულის ინფორმირებულობის კუთხით განსაკუთრებით საყურადღებოა ამ უკანასკნელის უფლება, მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს. ამრიგად დაზარალებულს სისხლის სამართლის პროცესის ადრეულ ეტაპზე შეუძლია სრული მოცულობით გაეცნოს მასალებსა და ყველა იმ მტკიცებულებას, რასაც ბრალდების მხარე წარადგენს საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე. გასათვალისწინებელია, რომ ხშირად სისხლის სამართლის საქმის მასალები შეიცავს ასევე ინფორმაციას, რომელიც მიუთითებს ბრალდებულის მიერ ჩადენილ სხვა ისეთ დანაშაულზე, რომლებსაც კავშირი არ აქვს კონკრეტულ დაზარალებულთან. საქმის მასალებში შესაძლოა არსებობდეს ინფორმაცია სხვა მესამე პირების პირადი ცხოვრების შესახებაც, რაც არ უკავშირდება იმ დანაშაულს, რომლის შედეგადაც მიადგა ზიანი კონკრეტულ დაზარალებულს. შესაბამისად ასეთი ინფორმაციის დაზარალებულისთვის გაცნობა არ არის გამართლებული და ამას ეწინააღმდეგება ზემოთ აღნიშნული პირთა უფლებების დაცვისა და გამოძიების ინტერესები. სწორედ ამიტომ გარკვეულ შემთხვევებში, როდესაც დაზარალებულისათვის საქმის მასალების გაცნობა ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს, აღნიშნული უფლება შეიძლება

<sup>40</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., 2015, გვ. 220

შეიძლება და უარი ეთქვას დაზარალებულს საქმის მასალების წვდომაზე. თუმცა უარის თქმის საფუძვლის აღმოფხვრისთანავე უნდა ეცნობოს დაზარალებულს და შესაბამისად მიეწოდოს უნფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე ასევე მიეცეც საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობა.<sup>41</sup>

დაზარალებულის ინფორმირებულობის გარანტიას წარმოადგენს სსსკ-ის 57-ე მუხლის მე-5<sup>1</sup> ნაწილისა და 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის დათქმა, რომლის მიხედვითაც დაზარალებული უფლებამოსილია მიიღოს განმარტება თავისი უფლება-მოვალეობების შესახებ. პროკურორი ან მისი დავალებით გამოძიებელი დაზარალებულად ცნობს შესახებ დადგენილება უნდაა გააცნოს დაზარალებულს და განუმარტოს მას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა უფლება და მათ განხორციელებასთან დაკავშირებული პროცედურები. აღნიშნულის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ დაზარალებული და ოქმის შემდგენი პირი. დაზარალებულს უფლება აქვს, შენიშვნა გააკეთოს ოქმზე. თუ დაზარალებული უარს ამბობს ხელმოწერაზე, ოქმში აღინიშნება ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზი.<sup>42</sup>

დაზარალებულის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უფლებას მიეკუთვნება დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის თაობაზე სასამართლოში ჩვენების მიცემის უფლება, კერძოდ კანონმდებელი დაზარალებულს აძლევს შესაძლებლობას, მისცეს ჩვენება მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას და სასჯელის შეფარდების შესახებ სასამართლო სხდომაზე. დაზარალებული უფლებამოსილია ჩვენების ნაცვლად წერილობით წარუდგინოს სასამართლოს აღნიშნული ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ დაზარალებულს ამ უფლებით სარგებლობა შეუძლია სასამართლო საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის განხილვის დროსაც. შესაბამისად დაზარალებული ამ უფლების გამოყენებით ეხმარება სასამართლოს დანაშაულით გამოწვეული ზიანის სწორად შეფასებაში. კანონმდებელი დაზარალებულს ანიჭებს უფლებას მიიღოს ინფორმაცია პროცესის მსვლელობისა და საქმის მასალების თაობაზე. აღნიშნული უფლება მას ხელს უწყობს კანონით მინიჭებული სხვა უფლებებით სარგებლობაში და ასევე ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან არიდებაში. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დაზარალებულს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა

<sup>41</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., 2015, გვ.222

<sup>42</sup> <https://matsne.gov.ge/ka> უკანასკნელად გადამოწმებული იქნა. 07.06. 2021

ეტაპზე პროცესის მწარმოებელი პირების მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების , ცალკეული საპროცესო მოქმედებების განხორციელებისა და საქმის მასალებს თაობაზე.<sup>43</sup>

დაზარალებულს ასევე უფლება აქვს უფასოდ მიიღოს სისხლისამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების, განჩინების, განაჩენის, სხვა შემაჯამებელისასამართლო გადაწყვეტილების ასლი. ამასთან, პროკურორი დაზარალებულს უზავნის სისხლისამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის შესახებ დადგენილების ასლს. დაზარალებულის ინფორმირებულობისათვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღებამდე პროკურორი კონსულტაციას გადის დაზარალებულთან,რის თაობაზეც დგება ოქმი. აღნიშნული აძლევს შესაძლებლობას დაზარალებულს გარკვეულწილად მოახდინოს ზეგავლენა პროკურორის გადაწყვეტილებაზე, რაც თავის მხრივ ეხმარება პროკურორს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში. იგივე წესი მოქმედებს პროკურორის მერ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების გამოტანამდე.<sup>44</sup> ამავე დროს დაზარალებულს უფლება აქვს კონტროლი გაუწიოს კანონით დადგენილ ფარგლებში პროკურორის დისკრეცას. პროკურორის დისკრეციულობის უფლება იზღუდება დაზარალებულის უფლებით, გაასაჩივროს პროკურორის გადაწყვეტილება დევნის დაწყებაზე უარის თქმისა და დაწყებული დევნის შეწყვეტაზე. საპროცესო კოდექსი დაზარალებულის მხრიდან პროკურორის დისკრეციულობის უფლების კონტროლის ორ სახეს იცნობს, კერძოდ დაზარალებულის მიერ ა) სისხლისამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის, ან დაწყებული დევნის შეწყვეტის თაობაზე პროკურორის მიერ მიღებული დადგენილების გასაჩივრება ზემდგომ პროკურორთან ყველა კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე. დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე, ქვემდგომი პროკურორის დევნის დაწყებაზე უარის თქმის ან დევნის შეწყვეტის დადგენილების ზემდგომი პროკურორის მიერ გაუქმების შედეგია დევნის დაწყება. საჩივრის დაკმაყოფილება ნიშნავს დევნის დაწყების ვალდებულებას. გენერალური პროკურორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი დევნის დაწყებას ავალებს არა იმავე პროკურორს, ვინც გამოიტანა დადგენილება დევნის არ დაწყების ან შეწყვეტის შესახებ, არამედ სხვა პროკურორს. ბ)გარკვეული კატეგორიის საქმეებზე დაზარალებულის საჩივრის დაკმაყოფილებაზე ზემდგომი პროკურორის უარი შეიძლება გასაჩივრდეს გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოში. დაზარალებულს ამ შემთხვევაში შეუძლია სასამართლოს მეშვეობით აიძულოს პროკურატურა დაიწყოს დევნა.მას შემდეგ, რაც ზემდგომი პროკურორი უარს ეტყვის დაზარალებულს

<sup>43</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., 2015, გვ.226

<sup>44</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., 2015წ, გვ227

საჩივარზე და უცვლელად დატოვებს ქვემდგომი პროკურორის დადგენილებას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა საქმეებზე დევნის დაწყებაზე უარის თქმის ან დაწყებული დევნის შეწყვეტაზე, დაზარალებულს უფლება აქვს საჩივრით მიმართოს სასამართლოს გამოძიების ადგილის მიხედვით. სასამართლოს მიერ საჩივრის დაკმაყოფილება ნიშნავს პროკურორის ვალდებულებას, დაიწყოს დევნა, რითიც იზღუდება პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება.<sup>45</sup>

დაზარალებულის ინფორმირებულობის კუთხით განსაკუთრებით საყურადღებოა მისი უფლება, მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესს. ამრიგად, დაზარალებულს სისხლის სამართლის ადრეულ ეტაპზე შეუძლია სრული მოცულობით გაეცნოს საქმის მასალებს და ყველა იმ მტკიცებულებას, რასაც ბრალდების მხარე წარადგენს საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე. როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, რომ ხშირად სისხლის სამართლის საქმის მასალები შეიცავს ასევე ინფორმაციას, რომელიც მიუთითებს ბრალდებულის მიერ ჩადენილ სხვა ისეთ დანაშაულებზე, რომლებსაც კავშირი არ აქვს კონკრეტულ დაზარალებულთან. საქმის მასალებში შესაძლოა არსებობდეს ინფორმაციის სხვა მესამე პირის პირადი ცხოვრების შესახებ, რაც არ უკავშირდება კონკრეტულ დაზარალებულს, შესამაბისად ასეთი ინფორმაციის გაცნობა დაზარალებულისთვის არ არის გამართლებული. ამასთან აღსანიშნავია რომ დაზარალებულს ნებისმიერ შემთხვევაში უფლება აქვს წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 10 დღისა გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის სრულ მასალებს.<sup>46</sup>

---

<sup>45</sup> ლალიაშვილი თ. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ., 2015, გვ. 98

<sup>46</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., 2015, გვ.226.

## თავი V

### საერთაშორისო გამოცდილება დაზარალებულთან მიმართებით

გაეროს გენერალური ასამბლეის და ევროსაბჭოს მიერ მიღებული ინსტრუმენტები აყალიბებენ მთელ რიგ რეკომენდაციებს იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლებიც უნდა გამოიყენონ სახელმწიფოებმა მოწმეთა და დაზარალებულთა სისხლის სამართლის პროცესებში მონაწილეობისა და დაცვის უზრუნველსაყოფად. ეს მოიცავს რეკომენდაციებს მოწმეთა და დაზარალებულთათვის მათი უფლებების გაცნობის შესახებ, არაადამიანური და ღირსებაშემლახველი მოპყრობისგან დაცვას როგორც სასამართლო დარბაზში, ისე მის გარეთ, დაცვის მიზნით სხვადასხვა საშუალებების გამოყენებას, მაგალითად როგორცაა მოწმეთა დაცვის პროგრამების იმპლემენტაცია და მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე ხელმისაწვდომობა, მათ შორის ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, იურიდიული კონს<sup>47</sup>ულტაცია და სრული და ეფექტური რეპარაცია და რესტიტუცია. ამასთან, ევროსაბჭომ ხაზგასმით აღნიშნა ორი პრინციპი, რომლებიც სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, დაზარალებულებისა და მოწმეების დაკითხვა მათი პირადი მდგომარეობის, უფლებებისა და ღირსების გათვალისწინებით და აუცილებელი კანონმდებლობისა და ღონისძიებების მიღების ვალდებულება მოწმეთა დასაცავად და მხარდასაჭერად, რათა მათ თავისუფლად და დაშინების გარეშე მისცენ ჩვენება.

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, დაზარალებულები სარგებლობენ გარკვეული უფლებებით სისხლის სამართალწარმოების პროცესში, რაც გულისხმობს დაზარალებულის მიმართ თანაგრძნობით მოპყრობის უფლებას, მათ შორის, ღირსების პატივისცემასა და გამოძიების მიმდინარეობის პროცესში ჩართულობას იმ ხარისხით, რაც

---

<sup>47</sup> სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში საქართველო, ეუთო დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო, ვარშავა 2014, გვ. 132-133;

აუცილებელია მათი კანონიერი ინტერესების დასაცავად. მათ აქვთ უფლება, თავიანთი შეხედულებები და პრობლემები წარმოდგენილი და გათვალისწინებული იყოს სისხლის სამართალწარმოების შესაბამის ეტაპზე ისე, რომ არ იქნეს ხელყოფილი ბრალდებულის უფლებები და ეროვნული სისხლის სამართლის სისტემა.<sup>48</sup>

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო დოკუმენტებში მოცემული დებულებები სამართლიანი სასამართლოს უფლებების შესახებ ცალსახად არ ეხებიან მოწმეთა ან დაზარალებულთა უფლებებს, ადამიანის უფლებადამცველი ინსტიტუტები სულ უფრო და უფრო მეტად აღიარებენ ამ უფლებებს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მათ შესახებ აცხადებს, რომ სახელმწიფოებს და სასამართლოებს ეკისრებათ მოწმეთა და დაზარალებულთათვის ისეთი ძირითადი ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის ვალდებულება, როგორცაა სიცოცხლის უფლება, მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და უფლება რომ არავინ არ უნდა დაექვემდებაროს არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას და ეს ვალდებულება ვრცელდება სამართალწარმოების ყველა ეტაპზე.<sup>49</sup>

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლო პროცესი უნდა იყოს სამართლიანი არამარტო ბრალდებულის მდგომარეობის მიმართ, არამედ მოწმეებისა და დაზარალებულის მიმართაც. საქმეში *Doorson v The Netherlands* სასამართლომ აღნიშნა: „მართალია, ზოგადი მიდგომის შესაბამისად, კონვენციის მე-6 მუხლი არ მოიცავს მოწმეთა და დაზარალებულთა ინტერესების გათვალისწინებას, თუმცა შესაძლოა, მათი სიცოცხლე, თავისუფლება და უსაფრთხოებაც კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდეს. შესაბამისად, მსგავს შემთხვევაში სამართლიანი სასამართლოს პრინციპის მოთხოვნაა, რომ დაბალანსდეს, ერთი მხრივ, დაცვის მხარისა და, მეორე მხრივ, მოწმეთა და დაზარალებულთა ინტერესები.“ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება დაზარალებულთა მიმართ სასამართლომ ამოიკითხა აგრეთვე კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებში. დაზარალებულის ინდივიდუალური უფლება ეფექტურ გამოძიებაზე ასევე მოაზრებულია კონვენციის მე-13 მუხლში, რომელიც იცავს უფლებას კომპენსაციის მიღებაზე. საქმეში „*Kaya v. Turkey*“ (განაცხადი: 158/1996/777/978, 1998, პარ.107) სასამართლომ აღნიშნა, რომ სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, იგი გულისხმობს არამხოლოდ კომპენსაციის მიღების

<sup>48</sup> დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2016, გვ. 23;

<sup>49</sup> სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში საქართველო, ეუთო დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო, ვარშავა 2014, გვ.131;

შესაძლებლობას, არამედ უფლებას ეფექტურ გამოძიებაზე, რომელიც ასევე პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირებისა და დასჯის წინაპირობაა.<sup>50</sup>

ევრო საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1985 წლის 28 ივნისის რეკომენდაციაში No. R (85) 11 „სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში დაზარალებულის მდგომარეობის შესახებ“, რომელიც პრინციპების დონეზე განსაზღვრავს დაზარალებულის როლს პროცესის სხვადასხვა ეტაპზე, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია დაზარალებულის ინფორმირების მნიშვნელობაზე, როგორც გამოძიების, ისე სისხლისსამართლებრივი დევნისა და შემდგომში სასამართლო პროცესის ეტაპებზე. აგრეთვე, რეკომენდაციის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისას საკუთარი დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ბრალმდებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს დაზარალებულის ინტერესები და მისი კომპენსაციის საკითხი; დაზარალებულს უნდა ჰქონდეს დევნის არდაწყებაზე ბრალმდებლის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება შესაბამის კომპეტენტურ ორგანოში. რაც შეეხება დაკითხვის პროცესს, დაცული უნდა იქნეს დაზარალებულის უფლებები და ღირსება, რის უზრუნველსაყოფადაც შესაძლოა იგი დაიკითხოს დისტანციური წესით. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1987 წლის 17 სექტემბრის რეკომენდაცია No. R (87) 18 „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების გამარტივების შესახებ“ წინა რეკომენდაციის მსგავსად, სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციის გათვალისწინებით, საუბრობს დაზარალებულის ინტერესების მხედველობაში მიღებაზე და კონკრეტული სახელმწიფოს სამართლებრივი ტრადიციების გათვალისწინებით, შესაძლებლადაა მიჩნეული მსხვერპლის მიერ პროკურორისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნა, ასევე კომპენსაციის მოთხოვნა სამოქალაქო წესით ან სისხლისსამართლის პროცესშივე.<sup>51</sup>

ევროპის კავშირის 2012/29/EU დირექტივით „დაზარალებულთა უფლებების მინიმალური სტანდარტების, მათი დახმარებისა და დაცვის შესახებ“, განსაზღვრულია ის მინიმალური უფლებები, რომლითაც სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებული უნდა სარგებლობდეს. სხვა ძირითად უფლებებთან ერთად, როგორებიცაა: ინფორმაციის მიღების, პირადი ცხოვრების და უსაფრთხოების დაცვის და სხვა, დადგენილია ასევე ორი მნიშვნელოვანი უფლება, რომელიც სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობას უკავშირდება. დირექტივით აღიარებულია დაზარალებულის უფლება, წარადგინოს მოსაზრებები სასამართლოში და, ასევე, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შემთხვევაში, დაზარალებულის მიერ

<sup>50</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

<sup>51</sup> <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1346> უკანასკნელად გადამოწმებული იქნა. 10.06.2021

გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება. დირექტივის მე-10 მუხლით აღიარებულია დაზარალებულის უფლება, მოუსმინონ სასამართლო პროცესის დროს. შესაბამისი დირექტივის ინპლემენტაციის სახელმძღვანელო დოკუმენტში (Ref. Ares(2013)3763804 - 19/12/2013) მითითებულია, რომ მე-10 მუხლის მიზანია, სისხლის სამართლის პროცესში უზრუნველყოს ყველა დაზარალებული ინფორმაციის, შეხედულების და მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობით. შესაბამისი პროცედურული წესების (როდის და რა ფორმით მიეცემა დაზარალებულს ამის შესაძლებლობა) განსაზღვრის უფლება აქვს სახელმწიფოს, თუმცა ამგვარი უფლება შეიძლება გულისხმობდეს როგორც კომუნიკაციას და მტკიცებულების მიწოდებას კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოსთვის, ასევე უფრო ფართო უფლებებს, როგორცაა უფლება, მის მიერ წარდგენილი მტკიცებულების გათვალისწინებასთან დაკავშირებით, ასევე უფლება, მტკიცებულება წარდგენილი იყოს სასამართლოში. დოკუმენტში მოცემულია ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს C 404/07 გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, სახელმწიფო ვალდებული არ არის, დაზარალებულს, როგორც კერძო ბრალმძებელს, მისცეს შესაძლებლობა, წარადგინოს მტკიცებულებები. თუმცა, ასეთი შესაძლებლობის არქონა სახელმწიფოს ავალდებულებს, დაზარალებულს მისცეს შესაძლებლობა, წარადგინოს ჩვენება სასამართლოში, რომელიც მიიღება მხედველობაში ისე, როგორც მტკიცებულება. აღნიშნული უფლების დაცვის ერთ-ერთი მექანიზმია დაზარალებულისთვის შესაძლებლობის მიცემა, წარადგინოს „victim personal/impact statement (VPS)“, სადაც ის აღწერს იმ ემოციურ, ფიზიკურ და ფინანსურ ზიანს, რომელიც მას მიადგა. ამგვარი ზიანის მხედველობაში მიღება სასჯელის განსაზღვრის დროს ავალდებულოა სასამართლოსთვის. დირექტივის მე-11 მუხლით კი განისაზღვრება დაზარალებულის უფლებები იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდების მხარე იღებს გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტასთან დაკავშირებით. დირექტივის თანახმად, პროცედურული საკითხების მოწესრიგება განეკუთვნება სახელმწიფოების ავტონომიას. თუმცა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ დაზარალებულის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის გადაწყვეტილების გადახედვის შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება მძიმე დანაშაულს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სისხლისსამართლებრივი პროცედურები გაწერილი იყოს იმგვარად, რომ დაზარალებულს შეეძლოს, მოითხოვოს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გადახედვა. ამგვარი პროცესი უნდა იყოს ნათელი, გამჭვირვალე და არ მოიცავდეს ბიუროკრატიულ პროცედურებს.<sup>52</sup> განაჩენის გასაჩივრების საკითხთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ დირექტივა არ ავალდებულებს

<sup>52</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბერის გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

სახელმწიფოებს, მისცეს დაზარალებულ პირს განაჩენის გასაჩივრების უფლება. საერთაშორისო ორგანიზაციების დირექტივები და რეკომენდაციები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ დაზარალებულის უფლებაზე, გასაჩივროს/შეამოწმოს სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების/დევნის დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე შესაბამისი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ერთია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა სახელმწიფოს პრეროგატივაა, მას აქვს კომპეტენცია და შესაბამისი კომპეტენტური ორგანოები, რომლებმაც უნდა გამოიძიონ ნებისმიერი დანაშაული, გამოავლინონ დამნაშავე და მის მიმართ გამოიყენონ პასუხისმგებლობის პროპორციული ზომა, მაგრამ, იმავდროულად, ცხადია, სისტემა უნდა იყოს ეფექტურად აწყობილი საიმისოდ, რომ არსებობდეს როგორც გამოძიების დაწყება-არდაწყების, ისე პროცესის და შედეგების სისწორის, მართლზომიერების შემოწმების შესაძლებლობა, რადგან კონტროლის ბერკეტების არარსებობა არის თავისთავადი პროვოკაცია ინდიფერენტული მიდგომისა და, შედეგად, შეცდომისთვის, ისევე როგორც თვითნებობისა თუ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისთვის. შედეგად, ზიანი ადგება როგორც კერძო, ისე საჯარო ინტერესს. მნიშვნელოვანია, არსებობდეს სახელმწიფოს კონტროლის მექანიზმები, რათა მან არ დაუშვას შეცდომა ან თვალი არ დახუჭოს მასზე. ამიტომ, დაზარალებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, გადაამოწმოს დევნის დაწყებაზე უარის საფუძვლიანობა, კანონიერება, ცხადია, ისევე სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით. სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, დაასაბუთოს, რომ არ არსებობდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლები კონკრეტულ ფაქტზე ან/და კონკრეტული პირის მიმართ დევნის დასაწყებად. იმავე მოთხოვნების არსებობა საფუძვლიანია 54 დევნის შეწყვეტის გადაწყვეტილების გადასინჯვის შესაძლებლობასთან/აუცილებლობასთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობაგამოძიების აქტების კანონიერების სასამართლოში გასაჩივრების გზით შემოწმებას. სასამართლო კონტროლი არის ყველაზე ძლიერი და ეფექტური გზა, პროკურორი აიძულოს, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას იყოს მიუკერძოებელი.<sup>53</sup>

## 5.1 დაზარალებულის უფლებები საზღვარგარეთის ქვეყნების მიხედვით

სისხლის სამართლის პროცესში დანაშაულის მსხვერპლის უფლებების დაცვას ბოლო წლებში ევროპულ დონეზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. ევროპის კავშირმა 2001 წელს

<sup>53</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბერის გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

მიიღო 2001/220/JI ჩარჩო გადაწყვეტილება სისხლის სამართლის პროცესში დანაშაულის მსხვერპლის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, რომლითაც განისაზღვრა სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის კონკრეტული უფლებები და საჭიროებები. თუმცა ეროვნულ დონეზე სამართლებრივ ნორმებს შორის დიდი სხვაობისა და ცალკეული სახელმწიფოების სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების ფონზე ვერ ხერხდებოდა იმ მიზნის მიღწევა, რომელიც დაზარალებულის უფლებების სფეროში სამართლის ჰარმონიზაციისაკენ იყო მიმართული. დანაშაულის მსხვერპლის სათანადო დაცვისა და მისი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, ევროპულმა საბჭომ ევროპულ კომისიასა და ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებს დაავალა, საკითხის მიმართ შეემუშაებინათ ინტეგრირებული და კოორდინირებული მიდგომა, შეეფასებინათ დანაშაულის მსხვერპლის კომპენსაციის შესახებ ევროპის საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის 2004/80/EG დირექტივა, ასევე ჩარჩო გადაწყვეტილება და გადაესინჯათ, არსებობდა თუ არა ორივე სამართლებრივი ინსტრუმენტის გაერთიანების გზით ერთიანი სამართლებრივი აქტის მიღების შესაძლებლობა.<sup>54</sup> შედეგად, 2012 წლის 25 ოქტომბერს მიღებულ იქნა დანაშაულის მსხვერპლის უფლებების, მათი მხარდაჭერისა და დაცვის მინიმალური სტანდარტების, ასევე ჩარჩო გადაწყვეტილების ჩანაცვლების შესახებ დირექტივა 2012/29/EU,<sup>4</sup> რომელმაც საგრძნობლად გააფართოვა ჩარჩო გადაწყვეტილებით განსაზღვრული უფლებები. ამავდროულად, 2004-2005 წლებში რეფორმების განხორციელების მიზნით, საქართველოში შემუშავდა სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული სისხლის სამართლის მორგებას საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან. სისხლის სამართლის პროცესის სფეროში რეფორმები მიმართული იყო შეჯიბრებითობის პრინციპის განმტკიცებისა და მართლმსაჯულების სფეროში ადამიანის უფლებების გაძლიერებისაკენ.<sup>55</sup>

2012/29/EU დირექტივით დადგენილი სტანდარტების მიხედვით დანაშაულის მსხვერპლის ცნება ჩარჩო გადაწყვეტილებისაგან განსხვავებით, რომელიც დანაშაულის მსხვერპლად მხოლოდ იმ ფიზიკურ პირს განიხილავდა, რომლის მიმართაც განხორციელდა დანაშაული, დირექტივაში დანაშაულის მსხვერპლთა წრე გაფართოებული სახით არის წარმოდგენილი. იგი ცნება „დანაშაულის მსხვერპლში“ მოიაზრებს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მსხვერპლს, რომელიც შეიძლება იყოს „ფიზიკური პირი, რომელმაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სულიერი ტკვილი ან ეკონომიკური დანაკარგი“ ან „ოჯახის წევრი იმ პირისა, რომელიც უშუალოდ დანაშაულის

<sup>54</sup> ხატია თანდილაშვილი სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებები ევროპული და ქართული კანონმდებლობის მიხედვით. გვ. 51

<sup>55</sup> ხატია თანდილაშვილი სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებები ევროპული და ქართული კანონმდებლობის მიხედვით. გვ. 52

შედეგად გარდაიცვალა და რომლის გარდაცვალებით პირს მიადგა ზიანი”. ამასთან, ზიანს მხოლოდ მაშინ ექნება ადგილი, თუ გარდაცვლილსა და მის ნათესავს ერთმანეთთან მჭიდრო ემოციური ურთიერთობა ჰქონდათ ან ნათესავი ფინანსურად იყო დამოკიდებული გარდაცვლილზე. დირექტივამ ნათესავების წრეც განსაზღვრა და მას მიაკუთვნა გარდაცვლილის მეუღლე; რომელთან ერთადაც ეწეოდა ერთიან საოჯახო მეურნეობას; პირდაპირი ხაზის ნათესავები (მშობლები), და-მმა და მსხვერპლის კმაყოფაზე მყოფი პირი. აღსანიშნავია, რომ დირექტივა მოქმედებს მხოლოდ ფიზიკური პირების მიმართ და იგი არ ვრცელდება იურიდიულ პირებზე. თუმცა აღნიშნული გარემოება არ უნდა ჩაითვალოს დისკრიმინაციად, ვინაიდან დირექტივის მთავარი ამოცანაა დანაშაულის მსხვერპლის ვიქტიმიზაციასგან, დაშინებისა და შურისძიებისგან დაცვა. თუმცა, დირექტივა წევრ სახელმწიფოებს შესაძლებლობას აძლევს, რომ დირექტივით დადგენილი სტანდარტები გამოყენებულ იქნეს იურიდიული პირთა მიმართ. მოცემულ ნაწილში საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა სრულად შეესაბამება დირექტივის მოთხოვნებს. სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის უფლებამოსილება ენიჭება როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მსხვერპლს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 9 მე-3 მუხლის 22-ე ნაწილით დაზარალებულად მიჩნეულია „სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად”, ხოლო სსსკ-ს 56-ე მუხლს მე-3 ნაწილის შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეებში, რომელსაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა, გარდაცვლილის უფლებები და ვალდებულებები ენიჭება მის ახლო ნათესავს.<sup>56</sup>

## 5.2. საფრანგეთის სამართლის და გერმანული სამართლის მიხედვით

საფრანგეთის კანონმდებლობის თანახმად, პირი, რომელსაც ზიანი მიადგა ჩადენილი დანაშაულის შედეგად, ავტომატურად არ ხდება პროცესის მხარე. იმისათვის, რომ მან მხარის სტატუსი მოიპოვოს, საკმარისი არ არის მხოლოდ საჩივრის შეტანა, არამედ, საჭიროა პროცესის მხარედ გახდომის სურვილის ოფიციალური დაფიქსირება. ეს შეიძლება მოხდეს „სამოქალაქო მხარედ ჩამოყალიბებით“ , რაც გულისხმობს გამოძიების მოსამართლის წინაშე დამოუკიდებელი შუამდგომლობის შეტანას, ან საქმის განმხილველ სასამართლოში ბრალდებულის დაბარებას. სამოქალაქო მხარე პროცესის კერძო მხარეს წარმოადგენს,

<sup>56</sup> ხატია თანდილაშვილი სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებები ევროპული და ქართული კანონმდებლობის მიხედვით. გვ. 52

პროკურორისაგან განსხვავებით. ეს უკანასკნელი საჯარო მხარედ მოიაზრება.<sup>57</sup> მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულისათვის საჭიროა გარკვეული მოქმედებების განხორციელება, იგი საბოლოოდ მაინც შეიძლება გახდეს სისხლის სამართლის პროცესის აქტიური მხარე. 2009 წლის მდგომარეობით სსსკ-ის თანახმად კი, დაზარალებული სისხლის სამართალწარმოების მხარეც კი არ წარმოადგენს. სისხლის სამართლის პროცესში მსხვერპლის „სამართლის გაგების შიშველ ობიექტად“ გადაქცევა, დაზარალებულში იწვევს უძლეურობის და „მათ ხელში ყოფნის“ გრძნობას, რაც დაზარალებულმა ერთხელ უკვე განიცადა დანაშაულის ჩადენის დროს.<sup>58</sup> საფრანგეთის სისხლის სამართალწარმოების თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ პროკურორის მიერ დევნაზე უარის თქმისას, დაზარალებული გამოძახების პროცედურით ან მოსამართლის წინაშე, დამოუკიდებელი შუამდგომლობის შეტანით, აღძრავს არა მხოლოდ კერძო სარჩელს (რითაც იგი პროცესის მხარე ხდება), არამედ, საჯარო დევნასაც. დღეს ეს წესი განსაზღვრულია საფრანგეთის საპროცესო კოდექსის პირველივე მუხლში, რომლის მიხედვით „დევნა შეიძლება მოძრაობაში მოვიდეს, ასევე, დაზარალებულის მიერ. მიუხედავად ამისა, ასეთ საქმეზე პროკურორი პროცესის ძირითად მხარედ რჩება, თუმცა მას ჰიპოთეტურად, პროცესში ჩაბმა არ სურდა. მაგალითად, იგი ნიშნავს სასამართლოში საქმის განხილვის დღეს. ამრიგად, დაზარალებულს შეუძლია მოძრაობაში მოიყვანოს სისხლის სამართლის პროცესი. მას ასევე შეუძლია დაკმაყოფილდეს უკვე აღძრულ პროცესზე მიერთებით <sup>59</sup>ფრანგული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს დაზარალებულის უფლებას სასამართლოში (საგამომიებო პალატა) გაასაჩივროს პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებაზე (აღძვრაზე) უარის თქმის ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.<sup>60</sup>

ვინაიდან მთელი საქართველოს კანონმდებლობა, როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის, აგებულია გერმანული სამართლის საწყისებზე, ცხადია, დაზარალებულის უფლება-მოვალეობები საქართველოში არსებული დაზარალებულის მდგომარეობის იდენტური იქნება. გერმანიაში, ისევე, როგორც საქართველოში, პროცესუალური უფლებების მიხედვით, დაზარალებული, ტრადიციულად, თითქმის ჩვეულებრივ მოწმეს უთანაბრდება. 80-იანი წლების ხანმოკლე, მაგრამ მძაფრი დისკუსიის შედეგად ძალაში შევიდა ე.წ. საკანონმდებლო ნოველა დაზარალებულის უფლებების შესახებ, რამაც მკვეთრად გააუმჯობესა

<sup>57</sup> წიქარიშვილი. კ. (თარგმანი), ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, თბ., 2002წ.

<sup>58</sup> შალიკაშვილი მ., ვიქტომოლოგია, თბ., 2011, გვ. 126.

<sup>59</sup> წიქარიშვილი. კ. (თარგმანი), ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, თბ., 2002.

<sup>60</sup> დანაშაულის მსხვერპლის სამართლებრივი მდგომარეობა 2014, გვ. 9

დაზარალებულის საპროცესო სტატუსი. პროფესორი კლაუს როქსინი ცალკე გამოყოფს გერმანული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ოთხ დიდი ჯგუფს, რომელთა საფუძველზე პროკურორი უფლებამოსილია უარი თქვას სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე. კერძოდ: 1. ბრალდება, რომელიც უნდა განხორციელდეს სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლის საფუძველზე მცირემნიშვნელოვანია; 2. როცა სისხლისსამართლებრივი დევნის ინტერესი შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას სხვანაირად (მაგალითად: პირმა ითანამშრომლა გამოძიებასთან, ნებაყოფლობით ანაზღაურა მიყენებული ზიანი, თავიდან ააცილა საფრთხე სახელმწიფოს და საზოგადოებას, ან/და იყო შანტაჟის ობიექტი და ა.შ.); 3. როცა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას გერმანულ სახელმწიფოს ინტერესებს (მაგალითად, სახელმწიფო დანაშაულის საქმეებზე); 4. როდესაც დაზარალებულს თავად შეუძლია განახორციელოს კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა.<sup>61</sup>

### 5.3. დაზარალებულის უფლებები აშშ-ის სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით

საქართველოში დაზარალებულისათვის შეზღუდული უფლებების არსებობას ხშირად სისხლის სამართლის შეჯიბრებითი სისტემის არსებობით ხსნიან, რომლის ფარგლებშიც, მხარეები სარგებლობენ თანაბარი შესაძლებლობებითა და უფლებამოსილებებით. აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებს სისხლის სამართლის შეჯიბრებითი მოდელი, თუმცა, დაზარალებულის უფლებები აშშ-ის სისხლის სამართლის საპროცესო სამართალწარმოებაში გაცილებით ფართოა და კანონმდებლობაც უფრო მეტად კონკრეტიზებული. აშშ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, დაზარალებულ პირს აქვს შემდეგი უფლებები:<sup>62</sup>

- სარგებლობდეს სავარაუდო ბრალდებულისაგან დაცულობის გონივრული მექანიზმებით;

<sup>61</sup> დანაშაულის მსხვერპლის სამართლებრივი მდგომარეობა 2014, გვ.10.

<sup>62</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2016, გვ.29

- მიიღოს ინფორმაცია ნებისმიერი სასამართლო მოსმენის, ბრალდებულის საპატიმრო დაწესებულებიდან ვადაზე ადრე გათავისუფლების, სამართალდამრღვევი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის ან საპატიმრო დაწესებულებიდან გაქცევის თაობაზე;
- დასწრების უფლება არ იყოს გამორიცხული ნებისმიერი სასამართლო სხდომიდან.
- გონივრულ ფარგლებში მოისმინონ მისი პოზიცია ნებისმიერ სასამართლო პროცესზე საქალაქო სასამართლოში, მათ შორის, ბრალდებულის გათავისუფლების სხდომაზე, აგრეთვე, საპროცესო შეთანხმების, სასჯელის დანიშვნის და ბრალდებულის პატიმრობიდან ვადაზე ადრე გათავისუფლების სხდომაზე;
- ჰქონდეს გონივრული შესაძლებლობა, გაიაროს კონსულტაცია ადვოკატთან, როდესაც დანაშაულის განმახორციელებელ პირს წარმოადგენს სახელმწიფო;
- ჰქონდეს უფლება სრულ და დროულ რესტიტუციაზე;
- ჰქონდეს უფლება, შემჭიდროებულ ვადებში იყოს განხილული მისი საქმე - საქმის განხილვის არაგონივრული გახანგრძლივებისაგან დაცვის უფლება;
- მოეპყრონ სამართლიანად და პატივი სცენ მის ღირსებასა და პირად ცხოვრებას;
- დროულად იყოს ინფორმირებული ნებისმიერი საპროცესო შეთანხმების ან გადავადებული დევნის შეთანხმების თაობაზე;
- იყოს ინფორმირებული მის პროცესუალურ უფლებებსა და თავისუფლებებზე;
- მიიღოს სამართალწარმოებისას გაკეთებული ანგარიშებისა და ჩანაწერების ასლები;
- გააჩნია უფლება სამართლებრივი დაცვის მუდმივმოქმედ საშუალებებზე.<sup>63</sup>


უკანასკნელ პერიოდში დაზარალებულის უფლებების დაცვის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითია ფედერალური აქტი დანაშაულის მსხვერპლთა უფლებების შესახებ, სადაც ნათლად არის მითითებული, რომ დანაშაულის მსხვერპლის ფართო უფლებები, რაც გამოხატულია აღნიშნულ სექციაში, წარმოადგენს ადამიანის თანდაყოლილ უფლებებს, რომლებიც არ ექვემდებარება მათზე უარის თქმას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მას შეიძლება ეს სურდეს. აღნიშნული დებულებები პირდაპირ მიმართულია სახელისუფლებო უწყებების მიმართ, რათა დანაშაულის მსხვერპლებს მოეპყრონ პატივისცემით საპროცესო ღონისძიებების განხორციელებისას.<sup>64</sup>

დირექტივის მე-4 მუხლი შეიცავს იმ ინფორმაციის სრულყოფილ და დეტალურ ჩამონათვალს, რომელიც შესაბამისმა ორგანოებმა დანაშაულის მსხვერპლს პირველივე კონტაქტისთანავე უნდა მიაწოდონ. დანაშაულის მსხვერპლს, გარდა იმისა, რომ უნდა ჰქონდეს


<sup>63</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2016, გვ.29

<sup>64</sup> იქვე გვ.29


ინტერპერსონალური გზით ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა, ასევე უნდა შეეძლოს ბროშურების, საინფორმაციო ბუკლეტებისა თუ ინტერნეტის მეშვეობით ინფორმირება. საქართველოში მოწმეებისა და დაზარალებულებისათვის სისხლის სამართლის საქმეებზე ინფორმაციის მიწოდებისა და სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას, დაზარალებულსა და პროკურატურას შორის კომუნიკაციის გამარტივების მიზნით, დაფუძნდა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური,



რომელიც დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს ექვს ქალაქში ფუნქციონირებს და რომელიც შესაბამისი პირების ინფორმირების გარდა, ახორციელებს ისეთ საქმიანობას, როგორცაა დაზარალებულთან ერთად სასამართლო სხდომაზე დასწრება, დაზარალებულის პიროვნულ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასება, დაზარალებულსა და პროკურატურას შორის შეხვედრების ორგანიზება, ასევე დაზარალებულის დაკავშირება მხარდაჭერის სამსახურებთან, თავშესაფრებსა თუ იურიდიული დახმარების სამსახურებთან.<sup>65</sup>



<sup>65</sup> <http://www.pog.gov.ge/> უკანასკნელადგადამოწმებულია13.05.2021



დირექტივა კიდევ უფრო შორს მიდის და წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ დანაშაულის მსხვერპლს სისხლის სამართლის ყველა სტადიაზე მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი ინფორმაცია: „გამოძიების დაწყებაზე უარის თუ შეწყვეტის შესახებ ან დამნაშავის სისხლისსამართლებრივი წესით დევნის შესახებ გადაწყვეტილება. სასამართლოს მთავარი სხდომის დრო და ადგილი, ასევე ბრალდებულის მიმართ წარდგენილი ბრალდების არსი სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობა, „ბრალდებულის/ მსჯავრდებულის გათავისუფლება“. ამ ნაწილში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სრულად შეესაბამება დირექტივით დადგენილ სტანდარტებს, ვინაიდან ზემოაღნიშნული უფლებები განმტკიცებულია სსსკ-ის 57-ე და 58-ე მუხლებში<sup>66</sup>

დანაშაულის მსხვერპლის პროცესის აქტიურ სუბიექტად წარმოჩინებისა და მისთვის მთავარი როლის მინიჭების მიზნით, დირექტივამ მას არაერთი აქტიური საპროცესო უფლებები მიაკუთვნა. მათ აქვს უფლება სასამართლო მოსმენაზე, დაცვის ღონისძიებებზე, საპროცესო ხარჯებისათვის დახმარების მიღებაზე, ხარჯების ანაზღაურებაზე, ჩამორთმეული ქონების უკან დაბრუნებასა და კომპენსაციაზე. მოცემულ შემთხვევაშიც, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმები შესაბამისობაში მოდის დირექტივის მოთხოვნებთან. სსსკ-ის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებული წარმოდგენილია მოწმის სახით და სარგებლობს მისი ყველა უფლებით და ეკისრება მისი ყველა ვალდებულება. ამასთან, იგი უფლებამოსილია, სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისას მისცეს ჩვენება მიყენებული ზიანის თაობაზე. სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტების მიხედვით კი, დაზარალებულს უფლება აქვს მიიღოს პროცესში მონაწილეობის შედეგად გაწეული ხარჯების ანაზღაურება, დაიბრუნოს ჩამორთმეული ქონება

<sup>66</sup> ხ.თანდილაშვილი სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებები ევროპული და ქართული კანონმდებლობის მიხედვით. გვ. 53

და თუ მას ემუქრება მეორადი ან განმეორებითი ვიქტიმიზაცია, მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენება. დირექტივის ნოვაციას წარმოადგენს მე-11 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვით, წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, რომ დანაშაულის მსხვერპლს მისცენ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა. დირექტივის აღნიშნული მუხლი საქართველოში 2014 წელს სსსკ-ის 106-ე მუხლში 11 ნაწილის დამატებით იქნა აღსრულებული, რომლის მიხედვითაც, დაზარალებულს უფლება აქვს გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას. აღნიშნული წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მსხვერპლები, რომლებიც უფლებამოსილი არიან პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივრონ პირველი ინსტანციის სასამართლოში, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა. მისასალმებელია, საქართველოს მიერ მოცემული მუხლის იმპლემენტაცია, თუმცა, პრობლემურია ის ჩანაწერი, რომლითაც ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის მსხვერპლებს არ ეძლევათ შესაძლებლობა, გაასაჩივრონ ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება, რომელსაც ისინი უსამართლოდ მიიჩნევენ. გარდა ამისა, დირექტივაში არ არის რაიმე დათქმა გაკეთებული, რომელიც ასეთ შეზღუდვას გამართლებდა. მთავარი კითხვა, რომელიც აქედან გამომდინარეობს, არის ის, თუ რამდენად წარმოადგენენ დირექტივით გათვალისწინებული განსაკუთრებული დაცვის საჭიროების მქონე მსხვერპლები<sup>14</sup> განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მსხვერპლებს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის<sup>15</sup> მე-12 მუხლის თანახმად, განსაკუთრებით მძიმეა დანაშაული, თუ მისთვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადამიანით ვაჭრობისათვის ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 12 წლამდე, ოჯახში ძალადობისთვის – ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ხოლო გაუპატიურებისათვის 6-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.<sup>67</sup> აღნიშნული ანალიზი ცხადყოფს, რომ ზოგიერთი განსაკუთრებული დაცვის საჭიროების მქონე მსხვერპლი საკმარისი დასაბუთების გარეშე უფლებრივად გაუარესებულ მდომარეობაშია ჩაყენებული, კერძოდ, მათ არ აქვთ შესაძლებლობა, რომ მათი საქმე გადასინჯოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა ინსტიტუციამ. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობა მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება დირექტივით დადგენილ სტანდარტებს.<sup>68</sup>

<sup>67</sup> სისხლის სამართლის კოდექსი 1999 წ.

<sup>68</sup> [file:///E:/New%20folder%20\(2\)/HLIfKff](file:///E:/New%20folder%20(2)/HLIfKff) უკანასკნელად გადამოწმებული იქნა. 08.05.2021

დირექტივა წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ დანაშაულის მსხვერპლი დაიცვან დამნაშავისაგან ან იუსტიციის სისტემისაგან, ამასთან, უზრუნველყონ მისი პირადი უსაფრთხოება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, მაგრამ ვინაიდან ყველა მსხვერპლს დაცვის განსხვავებული საჭიროება გააჩნია, საჭიროა, რომ შესაბამისმა ორგანოებმა განახორციელონ მსხვერპლის ინდივიდუალური შეფასება და დაადგინონ, თუ რა მოცულობით არსებობს მისი მეორადი და განმეორებითი ვიქტიმიზაციის საფრთხე, ასევე განსაზღვრონ დაცვის ღონისძიებების გამოყენების მიზანშეწონილობა. ინდივიდუალური შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას მსხვერპლის ისეთი პიროვნული მახასიათებლები, როგორცაა ასაკი, მოწიფულობა, სქესი, გენდერული იდენტობა, დამნაშავესთან მისი ურთიერთობა, დანაშაულის სახეობა და თავისებურებანი. ამასთან, ინდივიდუალური შეფასება უნდა განხორციელდეს შემდგომადგვარად ადრეულ ეტაპზე და განსაკუთრებული გულმოდგინებით მოხდეს განსაკუთრებული დაცვის საჭიროების მქონე მსხვერპლების საქმეების გამოძიება. საქართველოს კანონმდებლობაში არ არის ინდივიდუალური შეფასებისა და განსაკუთრებული დაცვის საჭიროების მქონე მსხვერპლების სპეციფიკური ჯგუფის შესახებ ნორმა, თუმცა აღნიშნული ხარვეზი ნაწილობრივ აღმოფხვრილია იმით, რომ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური ახორციელებს ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლების შეფასებას და მათ უწევს ფსიქოლოგიურ დახმარებას.<sup>69</sup> გარდა ამისა, 2015 წელს მიღებულ იქნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელშიც დაზარალებულს ეძღვნება ერთი მთლიანი თავი და 24-ე მუხლში განმტკიცებულია მისი ისეთი უფლებები, რომელიც უზრუნველყოფს მის სათანადო დაცვას – მაგალითად, სასამართლო სხდომამდე ბრალდებულის დაკითხვა და დაკითხვის ვიდეოგადღება ან სხდომის დახურვა. ამასთან, არასრულწლოვან დაზარალებულს უფლება აქვს სასამართლო სხდომებს დაეწროს მის კანონიერ წარმომადგენელთან ერთად ან ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით.<sup>70</sup>

ევროპის კავშირისა და საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის სამართლებრივ-შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა ევროპულ სტანდარტებს ნაწილობრივ შეესაბამება. ასოცირების შესახებ შეთანხმების და მისგან გამომდინარე ვალდებულების ფარგლებში, რომელიც მოიაზრებს დირექტივის აღსრულებას, გადაიდგა ზოგიერთი პოზიტიური ნაბიჯი, თუმცა მაინც რჩება დაზარალებულის უფლებების გაძლიერებისა და დაზარალებულის საჭიროებებზე მორგებული სისხლის სამართლის კანონმდებლობის შემუშავების აუცილებლობა.

<sup>69</sup> [file:///E:/New%20folder%20\(2\)/HlIfKff](file:///E:/New%20folder%20(2)/HlIfKff) უკანასკნელად გადამოწმებული იქნა. 08.05.2021

<sup>70</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი 2015 წ.

თავი VI. კვლევის შედეგები

კვლევის ყოველი თავი დაწერილია თეორიული მასალის მეშვეობით, რომელთა საბოლოო ანალიზითაც მივედით შედეგებამდე. დასაწყისში სწორედ ამ გამოყენებულ ლიტერატურას მიმოვიხილავთ. შემდეგი თავი ეხება დაზარალებულის როლს სისხლის სამართლის პროცესში და მისი უფლებების ისტორიულ განვითარებას დღემდე. შემდეგ კი განხილულია სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები და გამოწვევები დაზარალებულის ცალკეულ უფლებებთან დაკავშირებით, კერძოდ პირის დაზარალებულად ცნობა რომელიც ერთ-ერთი პრობლემური საკითხია აქვე მოყვანილია მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან.

შედარებითი ანალიზის მეთოდით განვიხილავთ მომდევნო თავსა და მის ქვეთავებს, სადაც მოცემულია საერთაშორისო კანონმდებლობა, დაზარალებულის უფლებები და გამონაკლისები, ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა, ასევე ამერიკის შეერთებული შტატები და მისი კანონმდებლობა, რომელთა შედარებით ქართულ კანონმდებლობასთან დავინახეთ მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშან-თვისებები.

როგორც მოცემულ თავებში ვნახეთ, დაზარალებულის უფლებები მნიშვნელოვნად შემცირებულია, იგი გათანაბრებულია მოწმესთან შესაბამისად ეს განაპირობებ მის ნაკლებ ჩართულობას სამართალწარმოების მიმდინარეობისას. მიუხედავად იმისა რომ გარკვეული ნაბიჯები გაგვიდგა კერძოდ პროკურორის მიერ გამოძიების ანდა სისხლისამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების კუთხით საკმარისი არ არის და საჭიროა დამატებითი ცვლილებების შეტანა რათა დაზარალებულმა შეძლოს აქტიური ზეგავლენა პროცესის მიმდინარეობაზე.

## დასკვნა

ამდენად, წარმოდგენილი ნაშრომი გამოკვეთს იმ პრობლემებსა და ნაკლოვანებებს, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში ფიქსირდება დაზარალებულის უფლებების დაცვისა და პატივისცემის მხრივ. 2014 წელს განხორციელებული ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში დაზარალებულის უფლებების გაუმჯობესების კუთხით ნამდვილად წინგადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. თუმცა, მიუხედავად ამისა, კვლავ რჩება პრაქტიკული და საკანონმდებლო პრობლემები. თემაზე მუშაობამ აჩვენა, რომ ზოგჯერ ადგილი აქვს პირისთვის დაზარალებულის/დაზარალებულის უფლებამონაცვლის პროცესუალური სტატუსის მინიჭების გაჭიანურებას. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას სიცოცხლის ხელყოფისა და არასათანადო მოპყრობის საქმეებზე. საყურადღებოა, რომ დაზარალებულს ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ ჰქონდა შესაძლებლობა, ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულებთან დაკავშირებით პროკურორის მიერ მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილება გაესაჩივრებინა სასამართლოში და ედავა მის კანონიერებაზე კერძოდ დაზარალებულს უფლება არ ჰქონდა, გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება ერთჯერადად გასაჩივრების შემდგომ გაესაჩივრებინა სასამართლოში რაც აშკარა ხელყოფას იწვევდა. აღნიშნული ხარვეზი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით გამოსწორებულია, თუმცა სამწუხაროდ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილება სისხლის სამართლის პროცესში შეტანილი არ არის რაც დაზარალებულთა უფლებების ხელყოფის და უკანონო ქმედებათა გაგრძელების შესაძლებლობას იძლევა. სახელმწიფომ ხელმისაწვდომი და გასაგები უნდა გახადოს დაზარალებულისათვის მართლმსაჯულების განხორციელების პროცესი და მისცეს მას პრაქტიკული შესაძლებლობა, ისარგებლოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული მინიმალური ვალდებულების შეუსრულებლობა და დაზარალებულის ინტერესების უგულებელყოფა, მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს საზოგადოების ნდობასა და პატივისცემას სისხლის სამართალწარმოებისა და მასში მონაწილე სუბიექტების მიმართ.

## რეკომენდაცია

1. შემუშავდეს შესაბამისი ცვლილებები კანონმდებლობაში, რომელიც უზრუნველყოფს დაზარალებულის უფლებების გაზრდას პროკურორის ცალკეული გადაწყვეტილებების გასაჩივრებასთან დაკავშირებით. კერძოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდეს შესაბამისი ცვლილება, დაზარალებულს ჰქონდეს შესაძლებლობა, ყველა კატეგორიის დანაშაულზე სასამართლოში გაასაჩივროს დაზარალებულად ცნობასა და დევნის დაწყებაზე უარის თქმისა ან დევნის/გამოძიების შეწყვეტის შესახებ პროკურორის გადაწყვეტილება. კანონმდებელმა ამ შემთხვევაში უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით

2. აუცილებელია, მოხდეს დაზარალებულის არა მხოლოდ ინფორმირება ბრალდებულის მაგისტრატ მოსამართლესთან პირველი წარდგენის, წინასასამართლო სხდომის, სასამართლოს მთავარი სხდომის, საპროცესო შეთანხმების დადების, სასჯელის შეფარდებისა და სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო სხდომების თობაზე არამედ მას შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ამ სხდომაზე გამოხატოს მისი აზრი აუცილებელ საკითხთან მიმართებაში. შესაბამისად, უნდა შეიცვალოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის ფორმულირება.

## გამოყენებული ლიტერატურა

### მონოგრაფიები

1. ზ. მეიშვილი., ო. ჯორბენაძე., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბილისი, 2007
2. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში , თბილისი 2016
3. სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში საქართველო, ეუთო დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო, ვარშავა 2014წ
4. სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, რ. გოგუელიძის რედაქტორობით, თბილისი, 2009წ
5. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, ჯ. გახოვიძის, მ. მამნიაშვილისა და ი. გაბისონიას რედაქტორობით, თბილისი, 2013
6. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი 2015წ,
7. სახელმძღვანელო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გამლიერებული ტრენინგისათვის, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2012წ
8. ლალიაშვილი თ. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ თბილისი 2015წ
9. ხატია თანდილაშვილი სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებები ევროპული და ქართული კანონმდებლობის მიხედვით.
10. წიქარიშვილი. კ. (თარგმანი), ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, თბილისი 2002წ.
11. შალიკაშვილი მ., ვიქტომოლოგია, თბილისი 2011წ
12. დანაშაულის მსხვერპლის სამართლებრივი მდგომარეობა 2014წ

## სასამართლო პრაქტიკა:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბერის გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

## ნორმატიული აქტები

13. საქართველოს კონსტიტუცია, თბ.,1995 წ. (ახ. რედ.);
14. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 2017 წ.
15. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998 წ.
16. სისხლის სამართლის კოდექსი 1999 წ.
17. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი 2015 წ.

## ვებგვერდები

18. <https://mimomxilveli.wordpress.com> (გადამოწმებულია 10.05.2021)
19. <https://emc.org.ge> (გადამოწმებულია 10.05.2021)
20. [file:///E:/New%20folder%20\(2\)/](file:///E:/New%20folder%20(2)/) (გადამოწმებულია 08.05.2021)
21. <https://www.matsne.gov.ge> (გადამოწმებულია 07.05.2021)
22. <http://www.pog.gov.ge/> (გადამოწმებულია 13.05.2021)
23. <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1346> (გადამოწმებულია 10.06.2021)